ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 12 სექტემბერი, 2011 №216 (5596) ფასი: 30 თეთრი

## გურიაში მომხდარ ავტოავარიას შვიდი ადამიანი ემსხვერპლა

გვ.2

# „ვერა ქობალიას 100 ათასი უნდა ჰქონდეს და პენსიონერებს — 100 ლარი?!“



„ხელისუფლება ხალხს შეურაცხყოფას აყენებს“

გვ.5



## რატომ გვამადლის ხელისუფლება 100 ლარიან პენსიას?

გვ.4



## ლევან ვეფხვაძე: „ხელისუფლება სტრატეგიულ ობიექტებს იმიტომ ყიდის, რომ არჩევნებისთვის ფული სჭირდება“

გვ.2

ხელისუფლება ოპოზიციის ბრალდებებს აბსურდს უწოდებს



## ელიზბარ ჯაველიძე: „ხელისუფლებამ ინგლისური სახელმწიფო ენად გამოაცხადა“

გვ.6



## გელა ნიკოლაიშვილი: „დღეს ხელისუფლების მთავარი ოპონენტი სამოქალაქო საზოგადოებაა“

გვ.3



## ილია II: „თუ საქართველო მართლმადიდებლურ სარწმუნოებას შეინარჩუნებს, ქვეყანა გადარჩება“

გვ.2



## გია გვაზავა: „საქართველო აფხაზეთის ალიარებას არ აპირებს“

გვ.7



## გიორგი მოსიაშვილი: „მკვლელობისთვის გასამართლებული ნაციონალი პატიმრობიდან ერთ წელიწადში გაათავისუფლეს“

გვ.7

## რუსეთ-საქართველოს საზღვართან სამონასტრო კომპლექსი გაიხსნება

გვ.4

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**5** ქდმ-მ პენსიონერების დაზღვევა კიდევ ერთხელ მოითხოვა

**2** მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოში პრობლემა არა პრესის თავისუფლება, არამედ დაბალი პროფესიონალიზმია“

**3** სოსო ცინცაძე: „ისრაელი ამ სიტუაციიდან გამოძვრება“

**5** თურქეთში ქართველი ემიგრანტების საპროტესტო აქცია გაიმართა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ლევან ვეფხვაძე: „ხელისუფლება სტრატეგიულ ობიექტებს იმიტომ ყიდის, რომ არჩევნებისთვის ფული სჭირდება“

## ხელისუფლება ოპოზიციის ბრალდებებს აბსურდს უწოდებს

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ოპოზიცია სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის გამო ღელავს, უმრავლესობა კი პირობას დებს, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში საკონტროლო პაკეტი არ გასხვისდება.**

**ოპოზიციას მმართველი პარტიის არ სჯერა. სტრატეგიული ობიექტების გასხვისების საკითხზე ოპოზიციის წარმომადგენლები მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც პარლამენტში ახალი ცვლილებები შევიდა.**

რატომ სხვისდება რკინიგზის, ელექტროსისტემისა და მაგისტრალური გაზსადენის აქციები? ეს შეკითხვა რამდენიმე დღეა ისმის. ამ კითხვას პასუხს ოპოზიცია და უმრავლესობა სხვადასხვანაირად სცემს.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას არჩევნების წინ ფული ესაჭიროება და ამიტომ გადაწყვიტა სტრატეგიული ობიექტების გასხვისება, ხოლო მმართველი პარტიის წევრები ინვესტიციების მოზიდვაზე და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფმა კომპანიების მომგებიან საწარმოებად გადაქცევაზე საუბრობენ.

ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ ნაციონალები პირდაპირ „ამხილა“. ეს საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მოხდა.

ლევან ვეფხვაძის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით მომავალი საარჩევნო წლისათვის ნახევარი მილიარდი დოლარი სჭირდება და რკინიგზის, ელექტროსისტემისა და მაგისტრალური გაზსადენის აქციების საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე გატანის გადაწყვეტილებაც სწორედ ამით არის განპირობებული.

ის დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების ახალი ფორმის შემოღებას ხელისუფლება მხოლოდ იმიტომ ჩქარობს, რომ მოახლოებული არჩევნებისთვის ფული სჭირდება.

— ნახევარი მილიარდის მიღება გსურთ, რათა დახარჯოთ არჩევნებისთვის. ქვეყნის გრძელვადიან ინტერესები, თქვენს მოკლევადიან მიზნებს ეწირება,  მიმართა ვეფხვაძემ საპარლამენტო უმრავლესობას. მანვე აღნიშნა, რომ ის ამას კი არა ვარაუდობს, არამედ, ფაქტებზე დაყრდნობით ამბობს.

— საფონდო ბირჟებზე გაზსადენის აქციების გატანა, დიდი საფრთხეების შემცველია. მთავრობამ კი კანონის ინიცირებამდე უკვე თქვა, რომ ამას გეგმავს. გასაგებია, რომ ახლოვდება არჩევნები და ხელისუფლების შესანარჩუნებლად ნახევარი მილიარდი დოლარი გჭირდებათ და ამისათვის უნდა მოიზიდოთ თანხები. მართალია, არც ეს გიშველით, თუმცა, ამ კანონის მიღება ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, საზიანო იქნება, — მიმართა უმრავლესობის წარმომადგენლებს ვეფხვაძემ. ლევან ვეფხვაძის მტკიცებით, აქციების გაყიდვის შემდეგ, საქართველოში უსათუოდ გაძვირდება გაზის ტარიფიც.


ლევან ვეფხვაძე

ლევან ვეფხვაძის ბრალდებას აბსურდულს უწოდებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი.კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, გაუგებარია, რატომ მიაჩნია ოპოზიციას დანაშაულად რეფორმები და ქვეყნის განვითარება, რასაც ხელისუფლება ცდილობს.

ზურაბ მელიქიშვილის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებებით, სახელმწიფო საწარმოებს, მიეცემათ საშუალება მოიზიდონ ინვესტიციები და დაასაქმონ უფრო მეტი ადამიანი.

— არჩევნებთან ამ საკითხის დაკავშირება აბსურდულია. ჩვენი ბიუჯეტი ისედაც იზრდება და კვლავ გაიზრდება. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ქვეყნის აღმშენებლობა ხელისუფლების შესანარჩუნებლად გვჭირდება, მიაჩნდეს. კანონპროექტით ხდება მხოლოდ პრივატიზების ცნების გაფართოება. ვიღაცას ამ თემის პოლიტიზება და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა სურს, — განაცხადა მელიქიშვილმა.

ვეფხვაძე უსაფრთხოების საკითხებზეც ისაუბრა. იგი დარწმუნებულია, რომ რკინიგზაში, ელექტროსისტემასა და მაგისტრალურ გაზსადენში პოლიტიკურად მოტივირებული ფული, კერძოდ კი ოკუპანტი ქვეყნის ფინანსები ჩაიდება.

ის ფიქრობს, რომ მაგისტრალური გაზსადენის აქციების კომპანია „სოკარის“ მიერ შეძენის შემთხვევაში, საქართველო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების დაძაბვას შეუწყობს ხელს, ნაციონალური მოძრაობა კი ზეპირ პირობას იძლევა, რომ ხელისუფლებაში მათი ყოფნის პერიოდში, სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტი არ გასხვისდება.

რაც შეეხება სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტს, კანონპროექტით დასაშვები ხდება, რომ სახელმწიფო ქონების აქციები და წილები პრივატიზებისთვის უცხოურ ბირჟებზე გავიდეს.

— სანამ ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, მათი საკონტროლო პაკეტი, უვადოთ იქნება სახელმწიფოს ხელში, — განაცხადა მელიქიშვილმა.

ამ სიტყვიერ განცხადებას, რომელიც არსად ოფიციალურად არ არის ჩაწერილი, უმცირესობა არ ენდობა.

ქრისტიან-დემოკრატმა ლევან ვეფხვაძემ მელიქიშვილს უთხრა, რომ თავის დროზე, როდესაც სტრატეგიული ობიექტების ზოგადად პრივატიზება დასაშვები ხდებოდა, ხელისუფლებამ კატეგორიული უარი განაცხადა კანონმდებლობაში გარანტიების ჩადებაზე.

— მაშინ არაერთი ვარიანტი შემოგთავაზეთ, მაგრამ უარი თქვით. რატომ უნდა ვენდოთ ხელისუფლებას? იქნებ ხვალ მიშას ფეხი გადაუბრუნდეს, მაშინ სხვა გაასხვისებს მათ? — იკითხა ვეფხვაძემ.

გურამ ჩახვაძემ აღნიშნა, რომ გაზისა და ნავთობის შესახებ კანონში გარანტიაა, რომ ნავთობის ეროვნული კომპანიის 75% სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ჩანაწერი მხოლოდ გაზსადენთან მიმართებაში არსებობს და არა რკინიგზასთან ან ფოსტასთან.

ოპოზიცია მთავრობას კონკრეტული გეგმის წარმოდგენასაც სთხოვს. ედპ-ს წევრმა გურამ ჩახვაძემ მთავრობას რკინიგზის, ელექტროსისტემისა და მაგისტრალური გაზსადენის აქციების საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე გაყიდვის შემთხვევაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გეგმის წარმოდგენა სთხოვა.

— აქციების საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე განთავსება ინვესტიციების მოზიდვის კარგი ფორმაა და ეკონომიკური კუთხით გამართლებულია, თუმცა, არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებიც და როცა საუბარია სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე, აქ საქმე ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გარანტიასაც ეხება, — განაცხადა ჩახვაძემ.

ოპოზიციის ნაწილმა, კერძოდ, ქრისტიან-დემოკრატებმა უმრავლესობას მოუწოდა კანონპროექტის განხილვა შეეჩერებინათ, თუმცა, უმრავლესობა ამ წინადადების გაზიარებას არ აპირებს. აღნიშნულ საკითხს პარლამენტი უახლოეს სესიაზე განიხილავს. სწორედ ამ დროს არის მოსალოდნელი ოპოზიციისა და უმრავლესობის მორიგი დაპირისპირება.

## ილია II: „თუ საქართველო მართლმადიდებლურ სარწმუნოებას შეინარჩუნებს, ქვეყანა გადარჩება“



გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო წირვა აღავლინა და ქადაგება იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ისტორიით დაიწყო.

როგორც უწმინდესმა ბრძანა, ადამიანის ბუნება რთულია, ჯოჯოხეთიდან შეიძლება ზეცად ამაღლდეს ან პირიქით, შეიძლება დაეცეს. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ იმის შესახებ, საით მივდივართ, ვინ ვართ და ვინ ვიქნებით მომავალში.

პატრიაქის თქმით, თუ საქართველო მართლმადიდებლურ სარწმუნოებას შეინარჩუნებს, ჩვენ ვცხონდებით და ქვეყანა გადარჩება და ქართველ ერს უნდა ახსოვდეს, რომ ის მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომელიც წინაპრებმა შემოინახეს, საქართველოს საცხონებელი საშუალებაა.

— სიკეთე, რომელიც უფალმა ქართველ ადამიანებს გვიბოძა: სიყვარული, თანადგომა, გაჭირვებული ადამიანის დახმარება, შენდობა, პატიება, ეს ყველაფერი უნდა შევინარჩუნოთ, — ბრძანა უწმინდესმა და დასძინა: „ამ შემთხვევაში ჩვენ ვცხონდებით და საქართველო გადარჩება“,

წირვის დასრულების შემდეგ უწმინდესმა მამა გიორგი ფეიქრიშვილი გაწეული ღვაწლისთვის მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

მედიანიუსი

## გურიაში მომხდარ ავტოავარიას შვიდი ადამიანი ემსხვერპლა

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესასთან 10 სექტემბერს მომხდარ ავტოავარიას შვიდი ადამიანი ემსხვერპლა. როგორც „მედიანიუსს“ ლანჩხუთის რაიონის გამგებელმა გია გოგუაძემ განუცხადა, უბედური შემთხვევა გუშინ დაახლოებით 20.30 საათზე მოხდა. ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომანქანა, ერევნიდან სტამბულისაკენ მიმავალი სამგზავრო ავტობუსი და ბათუმიდან თბილისისაკენ მოძრავი მიკროავტობუსი შეეჯახნენ.

ავტოავარიის შედეგად მიკროავტობუსში მყოფი 7 მგზავრი დაიღუპა. 40-მდე მგზავრი კი დაშავდა. სამგზავრო ავტობუსში მსხდომმა მგზავრებმა მხოლოდ სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღეს. მძიმედ არიან დაშავებულნი მიკროავტობუსის მგზავრები. გია გოგუაძის ინფორმაციით, დაშავებულები ლანჩხუთის, ბათუმისა და ფოთის საავადმყოფოებში გადაანაწილეს. მისი ინფორმაციით, ოთხი პაციენტის მდგომარეობა მძიმეა. დაკავებულია თურქეთში მიმავალი ავტობუსის მძღოლი, რომელიც, სავარაუდოდ, მომხდარში არის დამნაშავე.

შემთხვევის ადგილზე წინასწარი მოკვლევა უკვე ჩატარდა. ავარიის გამომწვევი მიზეზი, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. სამაშველო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები შემთხვევის ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ.

მედიანიუსი

# მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოში პრობლემა არა პრესის თავისუფლება, არამედ დაბალი პროფესიონალიზმია“

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, საქართველოს პრესის თავისუფლებაზე მეტად ამ სფეროში მომუშავე ადამიანების არაპროფესიონალიზმი აწუხებს.

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩის, ჯონ ტეფტის მიერ 2008 წლის 2010 წლის 10 იანვარს ვაშინგტონში გაგზავნილ წერილში, სადაც სენატორი რიჩარდ ლუგარის და მიხეილ სააკაშვილის თბილისში გამართული შეხვედრაა აღწერილი. შეხვედრას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის რანგში ნინო ბურჯანაძეც ესწრებოდა.

ტეფტის კონფიდენციალურ წერილს „ვიკილიქსი“ აქვეყნებს.

წერილის მიხედვით, სენატორმა 2008 წლის ნოემბრის თვეში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის პერიოდში ტელევიზიების დახურვის გამო შეშფოთება გამოხატა, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა, რომ ერთ-ერთი ასეთი დახურული ტელევიზიის მეპატრონე (ბადრი პატარკაციშვილი) მის მოკვლას და სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა. ეს კი სააკაშვილის განცხადებით, დაუშვებელია.

მისივე განცხადებით, წინასაარჩევნო (2008 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები) პერიოდში ყველა კანდიდატს ჰქონდა საშუალება ტელევიზიით გამოსვლის. სააკაშვილის აზრით, მისმა კონკურენტებმა სწორედ ამიტომ შეძლეს რეგიონებში ხმების მიღება.

— საქართველოში პრობლემა არა პრესის თავისუფლება, არამედ დაბალი პროფესიონალიზმია. ყველაზე პოპულარული თოკ შოუ საქართველოში ჯერი სპრინგერს (ცნობილი ამერიკული სკანდალური თოკ-შოუს წამყვანი) უფრო ჰგავს, ვიდრე ოპრას (უინფრი), — წერილის მიხედვით იხუმრა სააკაშვილმა.


მიხეილ სააკაშვილი

მანვე ლუგართან საუბარში არჩვენების წინასწარ შედეგებზეც ისაუბრა, რომლის წინასწარი მონაცემებითაც, იგი იმარჯვებდა. სააკაშვილის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ოპოზიციის კანდიდატი გახდებოდა, „საქართველო ჯოჯოხეთში ჩაეფლობოდა“, რადგან სააკაშვილის თქმით, ოპოზიციის ლიდერები ის ადამიანები არიან, ვინც 1992-1993 წლების სამოქალაქო ომის პერიოდიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსულან.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# საქართველოს ნიკოლა სარკოზი ეწვევა


ნიკოლა სარკოზი

საფრანგეთის ტრანსპორტის მინისტრის, ტიერი მარიანის განცხადებით, საფრანგეთის პრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზი ერთ თვეში საქართველოში ჩამოვა. ამის შესახებ მარიანიმ, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასთან, შეხვედრის შემდეგ განაცხადა, იუწყება „რუსთავი 2“.

აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციას „მედიანიუსთან“ საუბარში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ვერ ადასტურებენ. საგარეო უწყებაში ნიკოლა სარკოზის თბილისში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ არაფერი იციან.

რაც შეეხება ვერა ქობალიას და ფრანგი მინისტრის შეხვედრას, მხარეებმა სატრანსპორტო სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს.

ცნობისთვის: ერთ ერთი პროექტი, რომელიც საფრანგეთის მთავრობის დახმარებით განხორციელდა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენი ბილიკის დაგეგმარებაა.

საფრანგეთის ტრანსპორტის სამინისტრო ქართულ მხარესთან ავიანავიგაციის სფეროშიც თანამშრომლობს.

**მედიანიუსი**

# სოსო ცინცაძე: „ისრაელი ამ სიტუაციიდან გამოძვრება“

**პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის შეფასებით, ისრაელს მის ირგვლივ შექმნილ რთულ სიტუაციასთან გამკლავების ყველანაირი საშუალება გააჩნია.**


სოსო ცინცაძე

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელს ეგვიპტესა და თურქეთთან ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბა და ამავდროულად ეს ორი სახელმწიფო სამხედრო ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობაზე მსჯელობენ, პოლიტოლოგი თვლის, რომ ისრაელი ამ პრობლემებს ტრადიციულად, გაუმკლავდება.

— სიტუაციის დრამატიზების მომხრე არ ვარ. ისრაელისთვის პირველი შემთხვევა არ არის, როცა მის თავზე შავი ღრუბლები გროვდება. ისრაელს სათანადო პოტენციალი გააჩნია, როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო, ფინანსური და ინტელექტუალური, რათა ასეთი საფრთხეები გაანეიტრალოს. რაც შეეხება თურქეთსა და ეგვიპტეს შორის სამხედრო ხელშეკრულების გაფორმებას, ამასთან დაკავშირებით ჯერ გარკვეული არაფერია. შესაძლოა, „ჰამასისა“ და „ჰესბოლის“ მიერ პროვოცირებულ მინი სამხედრო კონფლიქტსაც ჰქონდეს ადგილი, თუმცა, სიტუაციის გამწვავება დროებითია და მწვავე კონფლიქტს არ უნდა ველოდოთ. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიო ისრაელს აკრიტიკებს, თუნდაც უკანონო დასახლებების გამო, მას ჯერ კიდევ მხარს უჭერს ყველაზე მდიდარი და გავლენიანი სახელმწიფო მსოფლიოში - ამერიკის შეერთებული შტატები. შტატებში 300 არასამთავრობო ებრაული ორგანიზაციაა, რომელსაც სერიოზული ძალა გააჩნია. სიონისტური ორგანიზაციები მსოფლიოს მასშტაბით ისრაელისთვის მფარველზე მეტია. როგორ ფიქრობთ, ისრაელი, რომელიც 100 მილიონიან მტრულ გარემოცვაში მოქცეული, გაბედავდა არაფრად ჩაეგდო ამერიკელი მაღალჩინოსნების, მათ შორის ჰილარი ქლინტონის დარიგებები, ძლიერი ზურგი რომ არ ჰქონდეს?, — განუცხადა „პირველს“ ცინცაძემ და აშშ-ის ისტორიიდან ის ფაქტები გაიხსენა, რომ ამერიკული პოლიტიკის ვარსკვლავები ისრაელთან მიმართებაში ებრაელებისთვის ოდნავ მიუღებელი პოზიციის გამო ჩაქრა.

— ნებისმიერ პრეზიდენტს, რომელიც ისრაელის წინააღმდეგ წავა, შეუძლია, ჩემოდანი ჩაალაგოს. პოლიტკორექტულობის გამო ამაზე ბევრს არ საუბრობენ, მაგრამ ფაქტია, რომ ებრაული ლობი ამერიკაში იმდენად ძლიერია, რომ ობამა რთული არჩევნების წინ ისრაელთან დაპირისპირებას ვერ გაბედავს, — დასძინა ცინცაძემ.

შეგახსენებთ, რომ ისრაელსა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობა გამწვავდა. გუშინ ქაიროში ისრაელის საელჩოსთან მიმდინარე აქცია შენობის შტურმით დასრულდა. დემონსტრანტები დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შეიჭრნენ, შენობა დაარბიეს და ისრაელის დროშები დაწვეს. გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის ელჩმა და მისმა ოჯახმა ქაირო უკვე დატოვეს.

მდგომარეობა ორ ქვეყანას შორის მას შემდეგ დაიძაბა, რაც 18 აგვისტოს 5 ეგვიპტელი მესაზღვრე მოკლეს. ისრაელმა საკუთარი მოქალაქეების მკვლელობაში ეგვიპტე დაადანაშაულა და მომხდარის გამოძიება სთხოვა, რაზეც ისრაელმა განაცხადა, რომ მათი სამხედროები ეგვიპტელების მკვლელობასთან კავშირში არ არიან.

პარალელურად თურქეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობები 2 სექტემბერს მას შემდეგ დაიძაბა, რაც ისრაელის ოფიციალურმა პირებმა უარი განაცხადეს ბოდიშის მოხდაზე „თავისუფლების ფლოტილიასთან“ დაკავშირებული გასული წლის ინციდენტის გამო, ხოლო თურქეთმა ქვეყნიდან ისრაელის ელჩი გააძევა.

**პირველი**

# ავღანეთში 50 ამერიკელი სამხედრო დაიჭრა



ავღანეთში, ნატოს სამხედრო პოსტზე თვითმკვლელი ტერორისტის თავდასხმის შედეგად, 50 ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა, - ამის შესახებ ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“ იუწყება.

ამერიკის არმიის პრესსამსახურის წარმომადგენლის, დევიდ ისტბერნის ინფორმაციით, ამერიკელი ჯარისკაცები პროვინცია ვარდაში 11 სექტემბერს მომხდარი აფეთქებისას დაშავდნენ. მათთან ერთად დაშავდა 40-მდე ადამიანი. მათი ვინაობა გაურკვეველია.

მომხდარზე პასუხისმგებლობა მოძრაობა „თალიბანმა“ აიღო.

**ინტერპრესნიუსი**

# გელა ნიკოლაიშვილი: „დღეს ხელისუფლების მთავარი ოპონენტი სამოქალაქო საზოგადოებაა“

შორენა კოწოწაშვილი

**უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი მიიჩნევს, რომ არ უნდა იქნას დაშვებული ისეთივე სცენარით არჩევნების ჩატარება, რომლითაც წინასწარ გამოიწერება შედეგები. რა შანსები აქვს ირაკლი ალასანიას და შესაძლოა თუ არა პროცესების რევოლუციური გზით განვითარება? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს გელა ნიკოლაიშვილთან.**


გელა ნიკოლაიშვილი

გელა ნიკოლაიშვილი:

— დღეს ოპოზიციური მოედანი მართლაც მოსუფთავებულია, მაგრამ თავისუფალი ადგილები პოლიტიკაში არ არსებობს. ეს ადგილები აუცილებლად იქნება დაკავებული სხვა ძალის მიერ. საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი დიდია. მოსახლეობის 80% ხელისუფლებისადმი ნეგატიურად არის განწყობილი. უბრალოდ, ჯერჯერობით არ არსებობს ძალა, რომელიც ამას ორგანიზებას გაუკეთებს. ლაპარაკია სამოქალაქო საზოგადოებაზე, რომელიც თანდათან ხელისუფლების აქტიური ოპონენტი ხდება. ვგულისხმობ რეალურ სამოქალაქო საზოგადოებას, რეალურ არასამთავრობო უფლებადაცვით ორგანიზაციებს. გავიხსენებდი პატიმარ იოსებ წიკლაურის ფაქტთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს, რომელიც ძალიან მძიმედ იყო ავად ტუბერკულოზით და არ აძლევდნენ ექსპერტიზის დასკვნას. ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ოჯახს, ადვოკატებს, სამოქალაქო საზოგადოებას და მიაღწიეს იმას, რომ მიიღეს ეს საექსპერტო დასკვნა და გაათავისუფლეს შემდეგ ეს ადამიანი პატიმრობიდან ანუ სასჯელი გადაუვადეს, ბადრაგი მოუხსნეს საავადმყოფოში მწოლიარეს. გავიხსენებდი მეორე ფაქტს, სულ ორიოდე დღის წინ მომხდარს, როდესაც ქსნის კოლონიის პატიმრებმა გაბედეს და გაამჟღავნეს, ნაცემები რომ იყვნენ. სახალხო დამცველმა პროკურატურას მიმართა, რომ კონკრეტული პირების მიმართ აღეძრათ სს საქმე და გამოძიება დაეწყოთ. დღეს საქმე პროკურატურაშია. ესეც გარკვეული გამარჯვებაა. ეჭვი არ მეპარება, რომ რუხაიას და ლეჟავას მინიმუმ მოხსნიან.

გამოსვლები და სახალხო წინააღმდეგობა წინა პლანზე წამოიწევს და პოლიტიკური პარტიებისგან იმედგაცრუებული საზოგადოება მოახდენს თვითორგანიზაციას ამ წინააღმდეგობისთვის. შეიძლება ეს არ გამოიხატოს მასობრივ 100.000-იან აქციებში, მაგრამ ლოკალურ აქციებში ეს გამოიხატება და, რაც მთავარია, ეს პატარ-პატარა წინააღმდეგობები და პატარ-პატარა გამარჯვებები შემდეგ საფუძველს შექმნის იმისთვის, რომ საზოგადოება ორგანიზებულად შეხვდეს 2012 წელს არჩევნებს და სწორედ იქ დააფიქსიროს რეალურად პოზიცია ისე, რომ გადალახოს შიშისა და მოსყიდვის სინდრომი.

***— ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები როგორი იქნება? ითქვა, რომ შიდა დაპირისპირებები და ბიზნეს გადანაწილების პროცესი გააქტიურდა გუნდის შიგნით. ვადამდელი არჩევნების გზას ხომ არ აირჩევს ხელისუფლება?***

— არჩევნებამდე დიდი დრო არ რჩება. ამიტომ, ვადამდელი არჩევნები გამორიცხულად მიმაჩნია. ისინი ემზადებიან ვადიანი არჩევნებისთვის და ეს კარგად ჩანს, ერთი მხრივ, ფულის მოზიდვის სხვადასხვა მეთოდების გაძლიერებასა და დახვეწაში, რაც ბიზნესმენების დაპატიმრება-დაწიოკებას უკავშირდება. მეორე მხრივ, პიარაქციებში, დაწყებული წყალში ჩაყვინთვიდან თუ მთებზე სრიალიდან და დამთავრებული მასობრივი ტაშფანდურით.

***— სამთავრობო ცვლილებებს გამორიცხავთ? თქვენ პატიმრების მძიმე მდგომარეობა ახსენეთ. გამორიცხავთ, რომ წინასაარჩევნოდ სააკაშვილმა მინისტრი კალმახელიძე მოიშოროს?***

— არ არის გამორიცხული, რომ კალმახელიძე ან სხვა მეორეხარისხოვანი ფიგურები, რომლებსაც დადებითი იმიჯი არ აქვთ და ძალიან დისკრედიტებული არიან, მოიშოროს. ანუ ის თანამდებობრივად მსხვერპლად შესწიროს ძალაუფლების შენარჩუნებას, თუმცა საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ არც კალმახელიძე და არც სხვა მეორეხარისხოვანი ფიგურა რეალურად არაფერს არც ქმნის ამ სისტემაში და არც ცვლის. ისინი არიან მხოლოდ ბუტაფორიები, მათი გავლენა ნულის ტოლია, თუმცა, პასუხისმგებლობა იმის გამო, რაც დღეს ხდება, ფორმალურად სწორედ მათ ეკისრებათ და როდესაც იურიდიულ პასუხისმგებლობაზე დადგება საქმე, სხვისკენ თითის გაშვერას უკვე ველარ მოახერხებენ.

***— ალასანიას განცხადებებიდან იკითხებოდა, ხალხს სწორედ ჩვენნაირი კონსტრუქციული ოპოზიცია სჭირდებაო. რა შანსები აქვს ალასანიას, „ექვსიანს“ და რომელი ოპოზიციური ძალები გააქტიურდებიან? ზოგიერთი პოლიტიკოსის პროგნოზით, ახალ პარლამენტში მანდატები ამ თანმიმდევრობით გადანაწილდება: ნაციონალური მოძრაობა, „ექვსიანი“, ქრისტიან-დემოკრატები, ლეიბორისტები.***

— თუ არჩევნები ჩატარდა ისეთივე მეთოდით და ისეთივე სქემით, როგორც აქამდე ჩატარებულა, და წინასწარ თუ გამოიწერა ქვითარი, რომ ამ პარტიიდან ამდენი კაცი უნდა შევიდეს პარლამენტში, რა თქმა უნდა, ეს ისე იქნება, როგორი სცენარიც დაიწერება ხელისუფლების და ამერიკის ხელისუფლების მიერ. რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ეს თანმიმდევრობა ყველაზე რეალისტური ჩანს დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არ უნდა იქნას დაშვებული ისეთივე სცენარის ჩატარება არჩევნებზე, რომ წინასწარ გამოიწეროს შედეგები. ასეთ შემთხვევაში უკვე ყველაზე მეტი შანსი ექნება, თუ რეალური არჩევნები ჩატარდა, სწორედ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ყველაზე მეტად ახერხებენ თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოებასთან. სამოქალაქო საზოგადოებაში მარტო არასამთავრობო ორგანიზაციებს არ ვგულისხმობ. ეს არის პროფკავშირები, ჟურნალისტები, არა სახელმწიფო და არა კერძო სტრუქტურებში დასაქმებული ყველა ადამიანი, რომლებიც მიბმული არ არიან ხელისუფლებაზე და შედარებით დამოუკიდებლები არიან, როგორც ხელისუფლების მოსყიდვის, ასევე შანტაჟისგან. ასე რომ, ყველაფერი უნდა გააკეთოს გონიერმა პოლიტიკურმა ძალამ, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობას მხარი აუბას ან წინ წაუძღვეს. ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ აპირებს მჭიდრო თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოებასთან. ეს არის გონივრული გადაწყვეტილება და მისი მხრიდან გონიერი ნაბიჯი იქნება. იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს სწორედ ხალხს. აქ არ ვგულისხმობ ხელოვნურად შექმნილ არასამთავრობოებს, რომლებიც კოალიციაში გაერთიანდნენ და „ევროპული არჩევანი“ დაირქვეს. ესენი არიან ფსევდო არასამთავრობოები. ისინი რეალურად წარმოადგენენ სახელმწიფო სტრუქტურების ნაწილს. მათ დაკვეთებს ასრულებენ. ასევე, სამოქალაქო საზოგადოებად ვერ განიხილავ „იმედის“ და „რუსთავი-2“-ის ტელეკომპანიებს, რომლებიც ფორმალურად დამოუკიდებლები, მაგრამ რეალურად ხელისუფლების აგიტაცია-პროპაგანდის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტები არიან.

***— ირაკლი ალასანიამ ამ დღეებში ხელისუფლების გასაგონად განაცხადა, თუ არჩევნები გაყალბდება, რევოლუციას მოვაწყობთო. რამდენად არის რევოლუციის შანსები და ალასანიამ ამით თავი ნაცმოძრაობის ყველაზე სერიოზულ კონკურენტად დაასახელა?***

— რევოლუციები ხდება სწორედ არჩევნების მასობრივი გაყალბებების შემდეგ. არ არის გამორიცხული, თუ ხელისუფლების 20% საზოგადოების 80%-ის წინააღმდეგ იქნება და მათ სხვა სურათი დადეს, ხალხმა კი გაბედა გამოსვლა მასობრივად, ხელისუფლებამ რევოლუცია მიიღოს. არადა, თუ მასშტაბური გაყალბება არ მოხდა, ხელისუფლება ვერ დააფიქსირებს გამარჯვებას. ხელისუფლება 5-10%-ით რომ აყალბებდეს არჩევნებს, ეს იმდენად შესამჩნევი არ იქნებოდა, მაგრამ ხელისუფლების რეიტინგი მაქსიმუმ 25%-ია და არა — 45-50%. ამიტომ, სააკაშვილს თითქმის თავდაყირა ამოტრიალება დასჭირდება არჩევნების შედეგებისა, საკუთარი გამარჯვება რომ დააფიქსიროს. მით უმეტეს, ის უბრალო გამარჯვებას არასოდეს თანხმდება. მას აუცილებლად სჭირდება ხოლმე მინიმუმ ორი მესამედი, რათა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მართოს, როგორც უნდა და ნებისმიერი კანონი მიიღოს თავისუფლად და კონსტიტუცია შეცვალოს, როცა დასჭირდება.

# რატომ გვამადლის ხელისუფლება 100 ლარიან პენსიას?



**ამ კვირაში ჩვენი პენსიონერები გაზრდილ პენსიას აიღებენ. პენსია, თბილისშიც და რეგიონებშიც 100 ლარი გახდება. ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ ნაციონალური არხებით ათასგვარი რეკლამა გადის. განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი პრეზიდენტის სიტყვებია, რომელიც პენსიონერებს ტკბილ სიტყვებს ეუბნება.**

**პენსიის მომატებასთან დაკავშირებით კომენტარებს უხვად აფრქვევენ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც, რომლებიც გვამადლიან, რომ ფინანსური კრიზისის დროს მათ შეძლეს და პენსია გაზარდეს.**

თეა მარხვაი ე

არადა, იგივე ხელისუფლების წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ პენსია 100 დოლარამდე გაიზრდებოდა, თანაც, ეს რამდენიმე წლის წინ უნდა მომხდარიყო. რამდენიმე წლის წინ ვინ ჩივის, დანაპირები დღემდე არ შესრულებულა. ამის მიუხედავად, ხელისუფლება მაინც დაუღალავად უკეთებს რეკლამას პენსიის ას ლარამდე გაზრდას.

ტელევიზიით რეკლამის გაკეთება საკმაოდ დიდი ფული ჯდება. ალბათ უმჯობესი იქნებოდა თუ ამ რეკლამისთვის განკუთვნილ თანხას ისევ პენსიონერებს მისცემდნენ. პენსიონერები კი რეკლამის გარეშეც მიხვდებოდნენ, რომ პენსია ხელისუფლებამ გაუზარდა და არა ოპოზიციამ.

მეტი ეფექტის მოსახდენად ნაციონალები წარსულ დროსაც გვახსენებენ, როცა პენსია 14 ლარი იყო. ამასთან ავიწყდებათ ერთი რამ, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფნი მაშინაც ხელისუფლების სათავეში იყვნენ. ოღონდ მაშინ მათ მოქკავშირლები ერქვათ.

14 ლარიანი პენსია რომ სამარცხვინო იყო, ეს ახლაღა გაახენდათ. თავის დროზე კი ეს არავის არ ახსოვდა. უფრო მეტიც, თავგამოდებულები ამტკიცებდნენ, ახლა ხელისუფლებას ამაზე მეტის საშუალება არა აქვსო. ასევე იმართლებდნენ თავს, როცა პენსია და ხელფასი თვეობით იყინებოდა. თავის გასამართლებელი არ ელეოდათ, როცა დენი და გაზი ითიშებოდა.

ასე ცხოვრება რომ აღარ შეიძლებოდა, ეს მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როცა ოპოზიციაში გადავიდნენ და როცა ახლა ვინმე ფასების გაძვირებაზე ჩივის, ძველ დროს ახსენებენ, აბა ის ჯობდა, ბნელი და უკუნი რომ იყოო.

ის დრო ნამდვილად არ ჯობდა. ახლა თბილისი სინათლის ქალაქია და ქუჩაში უსაფრთხოდაც დავდივართ, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი დენს მაინც ვერ რთავს. იმიტომ, რომ მისი გადახდის საშუალება არა აქვს. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა გაირკვა, რომ სინათლე ნაგავთან კავშირშია.

ინფლაციაზე და ფასების გაზრდაზე აღარაფერს ვამბობთ. აღარაფერს ვამბობთ, რა ღირს პროდუქტები და წამლები. წამლებთან დაკავშირებით მართლაც კატასტროფული მდგომარეობაა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში წარმოებული წამლები სომხეთში უფრო იაფი ღირს, ვიდრე საქართველოში.

სამედიცინო მომსახურება რომ ჩვენთან ძალიან ძვირია, ამას თავად ხელისუფლებაც კი აღიარებს. ახლა კი წარმოიდგინეთ რა უნდა ქნას მარტოხელა პენსიონერმა, რომლის შემოსავალი მარტო 100 ლარი იქნება.

ძალიან კარგია, პენსია რომ იზრდება, მაგრამ ამას ამხელა რეკლამა მართლა არ სჭირდება. მით უმეტეს, რომ ეს პენსია ჩინოსანთა ჯამაგირის ფონზე ძალიან სასაცილოდ გამოიყურება.

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია გავიგოთ, რა უჯდება ქვეყანას 150 დეპუტატის შენახვა. ჯერჯერობით ჩვენი პარლამენტი 150 კაციანია. მომავალი მოწვევის პარლამენტი გაცილებით მრავალრიცხოვანი იქნება. შესაბამისად მათი შენახვა ქვეყანას კიდევ უფრო ძვირი დაუჯდება.

როგორც გაირკვა, გასულ წელს ჩვენი დეპუტატების შენახვა 7 431 539 ლარი დაუჯდა.

2010 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის წევრებისათვის ხელფასის და დანამატის სახით 5.156.417 ლარი გაიცა, ხოლო პრემიის სახით — 2.275.122 ლარი.

და ეს არ არის სრული ციფრი. ბიუჯეტს დეპუტატების კეთილდღეობაზე ზრუნვა კიდევ უფრო ძვირი დაუჯდა. პარლამენტის შენობის გათბობისა და დეპუტატებისთვის საჭირო საწვავის თანხებსაც ბიუჯეტი იხდის.

კარგი ჯამაგირი და ცხოვრება დეპუტატებს არც წელს მოჰკლებიათ. საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის ცნობით, 2011 წლის პირველ და მეორე კვარტლებში (იანვარი-ივლისი) გაცემული ხელფასებისა და დანამატების ჯამური ოდენობა 2 588 246 ლარს შეადგენს, ხოლო პრემიის ოდენობა — 1 137 792 ლარს.

ამასთან, საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზამ საქართველოს პარლამენტს მიმართა ოფიციალური წერილით, რომლითაც ითხოვდა საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ (150 წევრის მთლიანად) 2010 წელსა და 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (ექვსი თვე — იანვარი-ივნისი) ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე გაწეული ხარჯების საერთო ოდენობის შესახებ ინფორმაციას (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

საქართველოს პარლამენტის პასუხი აღნიშნულ საკითხზე არასრულყოფილია, რადგან წერილში მოცემულია მხოლოდ საერთო ციფრი.

პარლამენტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა მივლინებებისათვის 2010 წლის განმავლობაში საქართველოს 2010 და 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გამოიყო 1 200 000 ლარი.

საქართველოს პარლამენტის წევრთა მომსახურე ავტომანქანების რაოდენობაა 53 ერთეული. ამ ავტომანქანებისათვის საწვავის ფაქტობრივმა ხარჯმა 2010 წელს 279 250 ლიტრი შეადგინა, ხოლო 2011 წლის ექვს თვეში ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა — 153 350 ლიტრი.

რაც შეეხება პარლამენტარების კავშირგაბმულობის ხარჯებს, 2010 წლის მონაცემებით, ამ კუთხით გაწეული ხარჯის ფაქტობრივი ოდენობა 116 710 ლარია, ხოლო 2011 წლის ექვსი თვის განმავლობაში — 71 085 ლარი დაიხარჯა. მობილური ტელეფონებით სასაუბრო ლიმიტი განსაზღვრულია პარლამენტის ბიუროს 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით და თითოეულ კომიტეტზე თვეში შეადგენს 400 ლარს.

ამ ფონზე ალბათ მართლაც უხერხულია 100 ლარიან პენსიაზე ამდენი ლაპარაკი. პენსია რომ გაიზარდა, კარგია, მაგრამ ამით პენსიონერი მხოლოდ 4-5 კილო ხორცს თუ იყიდის.

# რუსეთ-საქართველოს საზღვართან სამონასტრო კომპლექსი გაიხსნება

დარიალის ხეობაში რუსეთ-საქართველოს საზღვართან მშენებარე მთავარანგელოზის სახელობის სამონასტრო კომპლექსი 15 სექტემბერს გაიხსნება.

როგორც გუშინ საკვირაო ქადაგებისას საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ განაცხადა, 14 სექტემბერს მთელი ღამის განმავლობაში ტაძარში პარაკლისებს გადაიხდიან, 15 სექტემბერს კი მამათა მონასტერი საზეიმოდ გაიხსნება და პირველ წირვას პატრიარქი აღავლენს. მისი თქმით, შემთხვევითი არ არის, რომ სამონასტრო კომპლექსი რუსეთ საქართველოს საზღვართან შენდება.

— ეს იქნება საქართველოს დაცვა, — ბრძანა უწმინდესმა.

უწმინდესმა მოუწოდა მრევლს, ვისაც საშუალება ექნება, მონასტერში ერთი ტომარა ფქვილი, ერთი ბოთლი წითელი ღვინო და ერთი ბოთლი ზეთი მიილონ. როგორც მან განმარტა, ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ მონასტრისთვის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც.

შეგახსენებთ, რომ ილია მეორე ივნისის თვეში დარიალის ხეობაში იმყოფებოდა, სადაც სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაათვალიერა. სამონასტრო კომპლექსის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მან იქ ყოფნისასაც ისაუბრა. **მედიანიუსი**



# დავითაიას პარტია 11 სექტემბრის ტერაქტს მთელ მსოფლიოს უსამძიმრებს

„საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ 11 სექტემბრის ტერაქტის დროს დაღუპულთა ოჯახებს, ამერიკელ ხალხსა და ტერორიზმთან მებრძოლ ცივილიზებულ მსოფლიოს უსამძიმრებს.

— ზუსტად 10 წელი გავიდა ამ უდიდესი ტრაგედიიდან, თუმცა ამ ხნის შემდეგაც, მსოფლიოს დღესავით ახსოვს კადრები, რომელსაც სრულიად მედია პირდაპირ ეთერში გადასცემდა. ეს ტერორიზმის უპრეცედენტო გამოვლინება იყო, რასაც 2 000-მდე უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ მოძმე ამერიკელი ხალხის მიმართ ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ იმ განცდილი მძიმე წუთების გამო, იმ დაღუპული ადამიანებისა და იმ ტკივილის გამო, რაც ტერორისტების გაუგონარმა ქმედებამ უდანაშაულო ადამიანებს მიანიჭა. საქართველო საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში მუდამ ცივილიზებული მსოფლიოს გვერდით დგას. ეს ჩვენი საერთო პრობლემაა, რომელსაც ერთიანი ძალებით უნდა ვებრძოლოთ, — ნათქვამია პაატა დავითაიას პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ გუშინ აშშ-ის 11 სექტემბრის ცნობილი ტრაგედიიდან 10 წელი შესრულდა. **პირველი**

# სასმელი წყლის პრობლემა თუშეთის სოფლებს აღარ ექნება

მალე თუშეთის 8 სოფელს სასმელი წყლის პრობლემა აღარ ექნება. სოფლებში წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება.

სასმელი წყლის რეაბილიტაცია პროექტის თემის ეკონომიკური განვითარების ფარგლებში ხორციელდება.

თუშეთის სოფლებში სასმელი წყლის არქონა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად დღემდე რჩება. შესაბამისად წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მოწყობა ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მთავარ პრიორიტეტატად დაასახელა.




სარეაბილიტაციო სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობა თავადაც აქტიურად მონაწილეობს და მათი ძალისხმევით სამუშაოს დასრულება ზოგ სოფელში დაგეგმილზე ადრე გახდება შესაძლებელი.

**მედიანიუსი**

# პედაგოგებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ყველა რეგიონის 200-მდე პედაგოგს შეხვდნენ.

პედაგოგებთან შეხვედრაზე ყველა ის სიახლე განიხილეს, რომელიც 2011-2012 სასწავლო წლისათვის განხორციელდა და მომავალში იგეგმება. მინისტრი ისეთ თემებს შეეხო როგორიცაა: ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ახალი არჩევითი საგნები, ინგლისური ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გაძლიერებული პროგრამით სწავლება, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და სხვა.

სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა პედაგოგებს მასწავლებლის სახლის კონცეფცია წარუდგინა, დაგეგმილი ტრენინგების შინაარსი გააცნო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაზეც ესაუბრა.

სამუშაო შეხვედრაზე მასწავლებლებს საშუალება ჰქონდათ მათთვის საინტერესო თემებზე კითხვები მინისტრისათვის დაესვათ და ინფორმაციაც განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ პირადად მინისტრისაგან მოესმინათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მსგავს შეხვედრებს მომავალშიც გეგმავს. **მედიანიუსი**

# ჩხარტიშვილი და ცაგურია კონცერტებში დახარჯულ თანხებს აპროტესტებენ


ლაშა ჩხარტიშვილი

კონსერვატორი ლაშა ჩხარტიშვილი და დაჩი ცაგურია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებენ, კონცერტებისთვის განკუთვნილი თანხებით სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა დააფინანსონ.

როგორც პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან გამართულ პრესკონფერენციაზე ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, ბათუმში ფესტივალი „ოქროს ტალანტი“ დაიხურა, რომლისთვის მიხეილ სააკაშვილმა მილიონობით ლარი დახარჯა იმ დროს, როდესაც სურამში სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობას არც ერთი თეთრი კომპენსაცია არ მიუღია და უამრავი ადამიანი შიმშილის ზღვარზეა.

ჩხარტიშვილის განცხადებით, ისინი მოითხოვენ, რომ სააკაშვილმა შეწყვიტოს სხვადასხვა მუსიკალური ღონისძიებების დაფინანსება და ეს თანხები მიმართოს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის, ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის და საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის.

მისივე თქმით, აგრძელებენ კამპანიას, რომლის ფარგლებშიც აქტიური მიმოწერა აქვთ საერთაშორისო დონის მომღერლებთან და მოუწოდებენ, რომ ნუ უმღერებენ დიქტატორს.

**ინტერპრესნიუსი**

# თეო ტლაშაძე საპატრულო პოლიციამ დააჯარიმა

„ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრი თეო ტლაშაძე საპატრულო პოლიციამ 20 ლარიანი ჯარიმის გამოწერის შემდეგ გაუშვა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თავად თეო ტლაშაძემ განუცხადა.

მისი თქმით, გაჩერებიდან 45 წუთის შემდეგ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გაარკვიეს, რომ ავტომანქანა ძებნაზე აღარ იყო გადაცემული და 20 ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს.

— დავჯარიმდი იმის გამო, რომ ზოლიდან ზოლში გადასვლისას თურმე ციმციმა არ ჩავრთე. ეს მას შემდეგ, რაც ჩემი გაჩერების შესახებ ჟურნალისტებმა შეიტყვეს. იქამდე, ავტომანქანა ავარიის გამო ძებნაზე იყო გადაცემული, — განაცხადა თეო ტლაშაძემ.

გუშინ გორიდან თბილისისკენ მომავალი „ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრი საპატრულო პოლიციას იგოეთთან ჰყავდა გაჩერებული. თეო ტლაშაძე მის გაჩერებას პოლიტიკური მოტივებით ხსნის.

მისივე ინფორმაციით, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა, რომლითაც გადაადგილდებოდა, „ქართული პარტიის“ კუთვნილებაა.

**ინტერპრესნიუსი**

## თურქეთში ქართველი ემიგრანტების საპროტესტო აქცია გაიმართა

თურქეთში საქართველოს საკონსულოს წინ, ქართველი ემიგრანტების საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის ორგანიზატორი წარმომადგენლობითი სახალხო კრების წევრი, მოძრაობა „თეთრების“ ახალგაზრდული ფრთის წევრი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ წევრი შოთა ჯიქია იყო.

შოთა ჯიქიას განცხადებით, აქციის ქართველი მონაწილეების მიმართ ჯერ კიდევ აქციების დაწყებამდე დაშინება და ტერორი ხორციელდებოდა.

— მიუხედავად ამისა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი აქციები შედგა. ჩვენი აქციის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდანაც დიდი ინტერესი იყო და უამრავ ქართველთან ერთად ბევრი თურქი მხარდამჭერიც შემოგვიერთდა, რის გამოც მიმართვა თურქულ ენაზე გავაკეთე. მიმიწვიეს საკონსულოში და „რუსეთის აგენტი“ მიწოდეს, — აღნიშნავს შოთა ჯიქია.

მისი თქმით, მას თურქულმა მხარემ თავშესაფარი შესთავაზა, თუმცა ამ ეტაპზე ის არც პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას და არც ბრძოლის შეჩერებას „ნაციონალური“ რეჟიმის წინააღმდეგ არ აპირებს.

**მედიანიუსი**

## ქდმ-მ პენსიონერების დაზღვევა კიდევ ერთხელ მოითხოვა


გიორგი ახვლედიანი

„ქრისტიან-დემოკრატები“ განაგრძობენ კამპანიას ყველა ასაკობრივი პენსიონერის სახელმწიფო დაზღვევით უზრუნველყოფის შესახებ. თელავის რაიონის სოფელ კონდოლში გიორგი ახვლედიანი და ნიკა ლალიაშვილი იმყოფებოდნენ. პარლამენტის წევრები ოთარაშვილების ოჯახს ესტუმრნენ.

— ამ ოჯახში 2 პენსიონერი 2 ბავშვს ზრდის და მათი შემოსავლის უმეტესი წილი მედიკამენტებსა და მკურნალობას ხმარდება. იმ შემთხვევაში თუ მთავრობა ყურად იღებს ჩვენს ინიციატივას და ყველა პენსიონერს მისცემს სახელმწიფო დაზღვევის პოლისს, ოთარაშვილების და ბევრი სხვა ოჯახი თავის მწირ შემოსავალს სხვა მიმართულებით გამოიყენებს, რაც მათ ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს, — განაცხადა ახვლედიანმა.

„ქრისტიან-დემოკრატების“ თქმით, მინიმალური პენსიის 100 ლარამდე გაზრდის და ქდმ-ს ინიციატივის შედეგად დედაქალაქსა და რეგიონებში პენსიის გათანაბრების მიუხედავად, ყველაზე დაუცველები ქვეყანაში კვლავ პენსიონერები რჩებიან.

ახვლედიანის განცხადებით, დღეს არსებული სახელმწიფო პროგრამები ძალზე არაეფექტურად მუშაობს და ქდმ უკვე დიდი ხანია ითხოვს, ამ პროგრამების გაუქმების შედეგად გამოთავისუფლებული თანხებით მთავრობამ ყველა პენსიონერი დააზღვიოს. საუბარია ბიუჯეტით გათვალისწინებული 184 მილიონი ლარიდან 640 ათასი პენსიონერის სადაზღვევო პოლისით უზრუნველყოფაზე, რაც დაახლოებით იგივე დანახარჯებზე გათვლილი, მაგრამ გაცილებით ეფექტური პროექტი იქნება.

პენსიონერებთან შეხვედრის შემდეგ "ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერებმა სოფელ კონდოლის მოსახლეობას თელავის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი ნიკოლოზ ლაშხი წარუდგინეს. თელავში შუალედური არჩევნები 2 ოქტომბერს გაიმართება.

**მედიანიუსი**

## „სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობა შესაძლოა ნებისმიერ დროს დაირღვეს“

აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტამდე სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაირღვეს. ამის შესახებ „აპა“-სთვის მიცემულ ინტერვიუში ნატოში აშშ-ს ყოფილმა ელჩმა და სახალმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილმა თანაშემწე კურტ ვოლკერმა განაცხადა.

ვოლკერის განცხადებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში აშშ-მა და რუსეთმა საერთო ენა უნდა გამონახონ.

— ჩვენ მხარს ვუჭერთ დემკრატიას, მშვიდობას, ტერორიზმის და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას. რუსეთი კი მიიჩნევს, რომ კავკასიის რეგიონის კონტროლის უფლება აქვს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. შეერთებული შტატები პატივს სცემს კავკასიის ხალხების და მთავრობების უფლებებს და არ ეთანხმება რუსეთის პრეტენზიებს „გავლენის სფეროებთან“ დაკავშირებით, — განაცხადა მან.

ვოლკერის თქმით, მას სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული მდგომარეობის შეცვლის პროგნოზირება გაუჭირდება, რადგან რუსეთი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციას კვლავ გააგრძელებს, აშშ-ს მოქმედი ხელისუფლება კი საგარეო პოლიტიკაზე მეტად შიდა მოვლენებსა და ეკონომიკას აქცევს ყურადღებას. მისივე განცხადებით, მიუხედავად ყველაფრისა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ლიდერებს დიდი შესაძლებლობები აქვთ, რასაც სათანადოდ გამოყენება ესაჭიროება.

**მედიანიუსი**

## რუსი ექიმები აფხაზეთში ჰუმანიტარულ აქციას გამართავენ

27 სექტემბერს აფხაზეთში, ახალი სასაზღვრო პუნქტი გაიხსნება.

რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურის გენერალის სერგეი კომარევცევის განცხადებით, ახალი სასაზღვრო პუნქტი გალში სოფელ ნაბაკევში გაიხსება.

მისი თქმით, აფხაზეთში ყოველწლიური ჰუმანიტარული აქციები, რომელსაც რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახური ახორციელებს, 21 სექტემბერს დაიწყება. ჰუმანიტარულ აქციაში მონაწილეობას რუსეთის ფედერაციის ექიმები მიიღებენ.

აქციის ფარგლებში კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება არა მხოლოდ გალის რაიონის სოფლების მაცხოვრებლებს, არამედ ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გულრიფშის და სოხუმის მცხოვრებლებსაც შეეძლებათ.

**მედიანიუსი**

# ნოდარ ჯავახიშვილი: „ვერა ქობალიას 100 ათასი უნდა ჰქონდეს და პენსიონერებს — 100 ლარი?!“

### ხელისუფლება ხალხს შეურაცხყოფას აყენებს

ნათია ხურცილავა


ნოდარ ჯავახიშვილი

**100 ლარამდე პენსიის გაზრდა ხელისუფლების დანაპირების შესრულებისკენ (100 დოლარის ეკვივალენტი) გეგმაზომიერი სვლაა თუ კარგად შენიღბული პიარაქცია, ამ საკითხზე „ახალ თაობას“ ეროვნული ფორუმის წევრი ნოდარ ჯავახიშვილი ესაუბრა:**

*— ბატონო ნოდარ, პენსიონერებს 100 ლარამდე გაეზარდათ პენსია. დანაპირები 100 დოლარის ეკვივალენტი იყო, მაგრამ როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ეს პროცესი გაგრძელდება. რას იტყვით?*

— ეს არის შეურაცხმყოფელი ძაღლის ძვალი, რომელიც გადმოგვიგდო ხელისუფლებამ. თან იმ საფუძვლით, რომ პენსიონერებზე ზრუნვით იკლავს თავს სააკაშვილი, რადგან მათ თურმე უზარმაზარი წვლილი მიუძღვით ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში. რას ნიშნავს 100 ლარი პენსია იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლებს ხელფასი 70-დან 100 ათასამდე აქვთ. ვიღაცას წელიწადში ასი ათასი აქვს, პენსიონერს კი ათას 200 ლარი. ვიღაცა ასჯერ მეტად აფასებს თავის თავს, ვიდრე საზოგადოების ყველაზე დიდ ნაწილს. ვერ დამისახელებთ საზოგადოების ცხოვრების ნებისმიერ სფეროს, სადაც რიგით ადამიანზე ასჯერ მეტის გაკეთება ვინმეს შეუძლია. ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ ჩვენთან შრომის ანაზღაურება აბსოლუტურად არაფერს არ ექვემდებარება. ჩვენ ვართ სახელმწიფო, სადაც სახელფასო ბადე არ არსებობს. შეიძლება სამინისტროში წამყვან სპეციალისტს 1500 ლარი ჰქონდეს და მინისტრს 40 ათასი. თუ ჩემზე ვიღაც 100-ჯერ მეტს აკეთებს გონებრივად, ე.ი. მე მკვდარი ვარ. თურმე, ვერა ქობალიას 100 ათასი უნდა ჰქონდეს და ადამიანს, რომელმაც 40 წელი იშრომა 100 ლარი?! თანაც დამადლებით. რა არის 100 ლარი? სარეკლამო რგოლებში გაშარჟებულია შევარდნაძის მმართველობის პერიოდი, თითქოს შევარდნაძის ლეკვი არ არის სააკაშვილი და მის პოლიტიკას არ აგრძელებდეს ყველა მიმართულებით. თუ მეხსიერება არ მღალატობს, 14 ლარი კი არ იყო, ბოლოს 37 ლარი იყო პენსია.

***— თუმცა, 14 ლარიდან დაიწყო...***

— გასაგებია, სააკაშვილი იმ ციფრს იღებს, რომელიც უფრო აინტერესებს. 12-15 წლის წინანდელი ფასებით 37 ლარით გაცილებით მეტი პროდუქციის შეძენა შეიძლებოდა, ვიდრე დღევანდელი 100 ლარით. ეს ინფლაციის კომპენსაციადაც არ გამოდგება, მატებაზე არ არის საუბარი. მით უმეტეს, ჩვენ ვცხოვრობთ იმ სახელმწიფოში, სადაც ყველა ინფლაცია სახელმწიფო მოხელეების ანუ ხელისუფლების მიერ არის შექმნილი. მოუნდებათ იქნება, არ მოუნდებათ, არ იქნება.

***— ასეთი მართვადია?***

— რასაკვირველია. ქვეყანას თუ აქვს აუცილებელი ინსტრუმენტები იმისთვის, რომ ფულის მიმოქცევაში მისი რაოდენობა მართოს, მას შეუძლია ინფლაცია მართოს. სააკაშვილმა თქვა, ამისთანა ინფლაციასთან ჩვენ ბრძოლა არ შეგვიძლიაო, „ამისთანა“ და „იმისთანა“ ინფლაცია არ არსებობს. ინფლაცია არის თანაფარდობის დარღვევა. ყველანაირი თანაფარდობის გასწორება შეიძლება, იყო დრო, როდესაც არ შეგვეძლო. მახსოვს, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გავხდი, ერთი კაპიკი საერთაშორისო სავალუტო რეზერვი არ გვქონდა. ქვეყანას პირველად საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 1994 წლის პირველ სექტემბერს გაუჩნდა, 100 ათასი გვქონდა. დღეს სამი მილიარდი აქვთ. რა გაუჭირდათ, რომ მიმოქცევაში ფულის მასა მართონ? — არაფერი. მაგრამ ასეთ ინფლაციას არ გააჩერებს, რადგან მდიდრდებიან. შევარდნაძის პერიოდში, ჰიპერ-ინფლაციის რაღაც ნაწილი, ალბათ 20 პროცენტი, გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებით, 80 პროცენტი ხელისუფლების დანაშაულით. ასე მოდის დღესაც. ჩვენთან ინფლაცია ეს არის სააკაშვილის დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.

***— მაგალითად?***

— მარტივი მაგალითია ხორცის ფასის კატასტროფული გაზრდა. ხორცის ფასი მხოლოდ იმიტომ გაიზარდა, რომ სააკაშვილმა მიიღო ჩოჩელზე გავლილი ფულის კეთების გადაწყვეტილება. პრაქტიკულად ამით კლავს მეცხოველეობას.

***— თქვენ ამბობთ, ეს იყო კორუფციის შედეგად გაძვირებული ფასები?***

— რასაკვირველია. გლეხს უთხრეს, შენს გაზრდილ საქონელს შენს ეზოში თუ დაკლავ და მერე ბაზარზე გაიტან, 3000 ლარით დაგაჯარიმებთო. აუცილებლად იქ უნდა წაიყვანოს, სადაც კილოგრამში 1 ლარი და 20 თეთრი უნდა გადაიხადოს, წონაშიც უნდა მოატყუონ და გასაყიდი ხორციც უნდა დაუმახინჯონ. გლეხი მიხვდა, რომ ამდენ წამებად არ ულირს. წარმოიდგინეთ, მაგალითად, რაჭიდან ცოცხალი საქონლის ჩამოყვანა. რატომ უნდა ვატარო? — იმიტომ, რომ ჩოჩელის მეშვეობით ფული იშოვოს ვიღაცამ? ხელისუფლება გვეუბნება, რომ ჩვენზე ზრუნავს.

***— სუფთა, შემოწმებული პროდუქტი გადის ბაზარზე — ასეთია ხელისუფლების ერთ-ერთი არგუმენტი...***

— ჩვენ, ჩვენი ხორცპროდუქტებით უზრუნველყოფილი ვართ 37 პროცენტით. დანარჩენი 63 პროცენტი შემოგვაქვს უცხოეთიდან. თუ ჩვენზე ფიქრობს, რატომ იმას არ ამოწმებენ? ეს მარტივი კითხვა უნდა გაუჩნდეს ქართველ ხალხს.

***— შემოტანილი არ მოწმდება?***

— რა უბედურებას გვაჭმევენ, იცის ვინმემ?! ზუსტად იმ უბედურების გასასაღებლად აკეთებენ ამას. გლეხმა იმიტომ არ უნდა გაზარდოს ძროხა, რომ ინდოეთიდან უნდა შემოიტანონ ჯუნგლებში დაღუპული ანტილოპას ხორცის ნაჭერი. თუ ჩვენზე ზრუნავენ, აქედან დაიწყონ, რაღა ქართველ გლეხს მიადგნენ. სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგია, მაგრამ ბოლომდე უნდათ ჩაკლან. მესაქონლეობა რაღაც დონეზე მაინც არსებობდა. მეღორეობა პრაქტიკულად მოსპეს. მექათმეობა მნიშვნელოვნად შეამცირეს. მეცხვარეობა საშინელ დღეშია. უხარია ბატონ სააკაშვილს, როდესაც ქართველი კაცი პროდუქტიულ პირუტყვს ყიდის, ფაქტიურად მარჩენალს. ფარამ ერთი იმდენი ნამატი უნდა მისცეს გლეხს. ასე თუ ისე, დაპურებული გლეხი მთიდან ჩამოვიყვანეთ, ამას კომუნისტები იარაღის ძალით აკეთებდნენ. 2008 წელი მსოფლიოსთვის ფასების აწევის მწვერვალი იყო. მერე ზაფხულში ვარდნა დაიწყო. მთელ მსოფლიოში დაეცა ფასები პრაქტიკულად ყველა პროდუქციაზე.

***— მათ შორის ნავთობზეც...***

— დიახ. ოფიციალური სტატისტიკით, საწვავზე ფასები 37-დან 44 პროცენტამდე. ხორბალზე 37 პროცენტით, შაქარზე და სხვა დანარჩენ პროდუქციაზე 30 და მეტი პროცენტით.

***— ჩვენთან რა ხდება?***

— ჩვენთან არა.

***— რატომ?***

— ქვეყანაში, სადაც 80 პროცენტი დამოკიდებულია იმპორტზე. ოფიციალური იმპორტის მოცულობა შემცირდა 31 პროცენტით. მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა 4 მთელი და 6 მეათედი პროცენტით. რა ხდება? სააკაშვილის მიერ მონოპოლიზირებულ ბაზარზე მსოფლიო ფასების დაცემის მიუხედავად, ფასები არ დაწიეს, მთლიანი შიდა პროდუქტი შეინარჩუნეს მაღალ დონეზე და იძახის, ჩვენ არ ჩამოვიშალეთო, მაშინ როდესაც ბოლომდე გაგვატყავეს და ქართველი ხალხის გალატაკებისა და გატყავების ხარჯზე შეინარჩუნეს ზრდის ტემპი. მთელმა მსოფლიომ დასწია პურის ფასი, ჩვენთან კი პირიქით აიწია. ჩვენთან არაფერი საბაზრო ეკონომიკის არ მუშაობს. ჩოჩელს რამდენი მოუნდება, იმდენი ეღირება ხორცი, ვიღაცას რამდენი მოუნდება, იმდენი ეღირება საწვავი და ა.შ. ამას არაფერი კავშირი არც მსოფლიოს ფასებთან აქვს და არც საბაზრო ეკონომიკასთან, რადგან ყველაზე კარგ შემთხვევაში სააკაშვილისეული გაბაზრებული ეკონომიკა გვაქვს და არანაირი საბაზრო ეკონომიკა. მისი არც ერთი პოსტულატი საქართველოში არ მუშაობს.

***— ისევ პენსიის მომატების საკითხს რომ დავუბრუნდეთ...***

— ეს არ არის მომატება, უბრალოდ, „აბოლებს“ საზოგადოებას და საზოგადოების გარკვეული ნაწილიც „ბოლდება“. ძალიან ბევრს ნახავთ გახარებულს, რომ 100 ლარი გაუხადა პენსია. ამას რომ სიკეთედ გვიტენიან, მიიღოს იმან, ვისაც უნდა, მე ვერ მივიღებ. ეს შეურაცხყოფა, ღირსებისა და პატივის აყრაა. ეს ხელისუფლება მოვიდა იდეით: 100 უფასო სასადილო. ქართველებმა თავი არ ვიგრძენით შეურაცხყოფილად. როდის იყო, ქართველები უფასო სასადილოებისთვის იღწვოდნენ. საქართველოში მათხოვარი არ იყო. უფასო სასადილოებში არ დარბოდნენ. მეტიც, გვითხრეს, საქართველო სინგაპურად უნდა ვაქციოთო და ამას ან ტაშს ვუკრავთ, ან ჩუმად ვართ, ამას არ ვებრძვით.

***— იქნებ მოსწონთ?***

— დამანახეთ, ვინც იცის, რა მოსწონთ სინგაპურში. თუ ხელისუფლება რამეს ბოლომდე არ გვეუბნება, ის ჩვენი სასარგებლო არსდროს არ არის. გაჰკივის: ევროკავშირში მივდივართ და თან სინგაპურის გზით. ეს ხომ სრულიად საწინააღმდეგოა.

***— ეს განცხადება ევროკავშირის წარმომადგენლებსაც უკვირთ...***

— უკვირთ და მეტი არაფერი. მეორე მხრივ, დემოკრატიისკენ მივდივართ, მაგრამ როგორ მივდივართ დემოკრატიისკენ სინგაპურის გზით, ეს გამაგებინონ!.

## ბაკურ კვეზერელი აგრონომებს შეხვდა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა აგრონომებთან შეხვედრა გამართა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროში სხვადასხვა თაობის აგრონომები შეიკრიბნენ და ბაკურ კვეზერელთან ერთად, სამინისტროს მიმდინარე პროგრამებსა და საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესებზე იმსჯელეს.

როგორც შეხვედრისას აგრონომებმა აღნიშნეს, საქართველოში მიწის შემოდგომაზე დამუშავება უპრიანია, ვინაიდან მინიმუმ 30%-ით იზრდება საგაზაფხულო კულტურების (სიმინდი, ბოსტნეული და ბახჩეულები) მოსავლიანობა.

**ინტერპრესნიუსი**

# ელიზბარ ჯაველიძე: „ხელისუფლებამ ინგლისური სახელმწიფო ენად გამოაცხადა“

## რას ემსახურება ისტორიის ახალი სახელმძღვანელო

**ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, რომელშიც ასახულია მოქმედი პრეზიდენტის მოღვაწეობა, დიდი ტირაჟით გაიყიდა. რამდენად რეალურად შეიძლება იყოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში ასახული მოქმედი პრეზიდენტის მოღვაწეობა, ამ საკითხზე ინტერვიუ აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ვთხოვეთ.**

ნათია ხურცილავა

***— ბატონო ელიზბარ, ისტორიის ახალი სახელმძღვანელო გამოიცა, სადაც მოქმედი პრეზიდენტის შესახებ არის საუბარი, ასევე არის საილუსტრაციო მასალები. რამდენად შეიძლება ისტორიამ ასახოს მოქმედი პრეზიდენტის მოღვაწეობა?***

— თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ისტორია თურმე 2003 წლიდან იწყება, როდესაც მოხდა ე.წ. ვარდების რევოლუცია და ამის შესახებ არაერთგზის განუცხადებია მიხეილ სააკაშვილს, ყველაფერი გასაგებია. მათი ცნობიერებისთვის მიუღებელია ჩვენი მდიდარი კულტურული წარსული. მათ სურთ, რომ ამ უმდიდრესი და უძველესი კულტურის მქონე ერის ისტორია დაიწყოს სწორედ 2003 წლიდან. ეს მკრეხელობა და დიდი უბედურებაა, მაგრამ ეს არის იმ პოლიტიკის გარკვეული გეგმა, რომელიც საერთოდ მიზნად ისახავს ეროვნებისა და ვინაობის განადგურებას. ეს პოლიტიკა დაკავშირებულია გლობალიზაციასთან, უპირველეს ყოვლისა, პლანეტარული იმპერიის შექმნის იდეასთან, რომლის გამავრცელებელიც ამერიკის შეერთებული შტატები გახლავთ. დღეს, თუ ვინმეს აქვს ისტორიის შექმნის პრეტენზია, აქვთ ისეთ ადამიანებს, როგორიც არის, მაგალითად, თენგიზ კიტოვანი.

***— კიტოვანი რა შუაშია?***

— მან დაანგრია საქართველო, დაამხო ეროვნული ხელისუფლება. ის აცხადებს, რომ ჩემი ისტორიაც შექმენითო. ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ინტერვიუებში ასეთ სისულელეებს ამბობს. რაც შეეხება ნუგზარ წიკლაურს, რომელიც ამ წიგნის კონსულტანტია, ის ისე შორს არის ქართული ისტორიისა და მეცნიერებისგან, როგორც ცა და დედამიწა. მისი და


ელიზბარ ჯაველიძე

ქალბატონი სურგულაძის ვიწრო თვალთახედვით დაწერილი წიგნი, რა თქმა უნდა, არ იქნება იმ დონის, რომ ქართველი ხალხი სიახლეს ან ჭეშმარიტებას აზიაროს.

***— რა არის ამ წიგნის მიზანი?***

— უმთავრესი მიზანი არის ის, რომ დღევანდელი ხელისუფლება და მისი თავკაცი, ჩემი აზრით, სრულყოფილი ტირანი, ქმნის საკუთარ ისტორიას და დიადემის გვირგვინს იდგამს თავზე. ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუ გავიხსენებთ რომის ცეზარების ისტორიას, იქ ასეთი მაგალითები უხვად არის. განსაკუთრებით, ეს ჩანს ნერონისა და კალიგულას მოღვაწეობაში. როდესაც კალიგულა ღმერთებს თავს აცლიდა და თავის ქანდაკებას ადგამდა, საკუთარ სახელზე აგებდნენ ტაძრებს და საკუთარ ქანდაკებას მთელი სიგრძე-სიგანით აყენებდნენ და ამ ქანდაკებებს საკუთარი სამოსით მოსავდნენ. ამის ანალოგიით ხდება დღეს ჩვენთან მიხეილ სააკაშვილის კულტისა და ავტორიტეტის ამაღლება თუ განდიდება, რაც ტყუილის აჩაჩხულ ფეხებზე დგას. ის იქმნება მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ბრმა მიმდევრებმა თაყვანისცემა დაუწყონ, პატივი მიაგონ და ადიდონ ღვთის საგალობლებით. ამ წიგნში რამდენი სისულელე წერია, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ერთი ვიცი, რომ ქალბატონმა სურგულაძემ განაცხადა, ბავშვს უნდა შევაყვაროთ ეს ხელისუფლებაო. სწორედ ამ მიზნით არის დაწერილი ეს წიგნი. მათ ავიწყდებათ ერთი ელემენტარული რამ პედაგოგიკაში, ბავშვს, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტება და სიმართლე უნდა შეაყვარო. სიმართლე და ჭეშმარიტება მეტყველებს, რომ საქართველოს ტირანული რეჟიმი მართავს. ეს 26 მაისის დილით გაცხადდა, როდესაც უდანაშაულო ადამიანები სასიკვდილოდ გაიმეტა.

***— მოდით ისევ განათლების სისტემას დავუბრუნდეთ. როგორ აფასებთ იქ შექმნილ მდგომარეობასს?***

— დღევანდელი განათლების რეფორმა არის ქართული ტრადიციული და ღრმა მეცნიერული სკოლის დეფორმაცია. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკას თავდაყირა აყენებენ. დღევანდელი განათლების სისტემა აგებულია ამერიკის განათლების სისტემის მიხედვით. უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს ამერიკის განათლების სისტემა მსოფლიოში 59-ე ადგილზეა რეიტინგებში. გარდა ამისა, პროგრამა, რომელიც ჩვენ გადმოვიღეთ, ამერიკაში უნარშეზღუდული, ჩამორჩენილი ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. შეგნებულად ხდება ქართველი ბავშვის დაჩლუნგება. როდესაც განათლების სისტემა უპირატესობას უნარ-ჩვევებს ანიჭებს და არა განათლების დონეს, ეს დამღუპველია. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არ უნდათ იყოს მეცნიერება, განათლება. უპირველეს ყოვლისა, ეს რეფორმა მიმართულია იქითკენ, რომ ქართველი ხალხი უბრალო მომსახურე ადამიანის დონეზე დაიყვანოს. განვითარებად ერებს ასეთ განათლების სიტემას უნერგავდნენ. ეს არაერთხელ არის გაცხადებული. როგორც ერთ-ერთმა ამერიკელმა სენატორმა თქვა, თურმე, ჩვენ, როგორც განვითარებად ერს, არ გვესაჭიროება არც მაღალი ქირურგიული დონე, არც მათემატიკა და არც ფიზიკა. ეს ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და უნდა გავხდეთ სანიტრები, მიმტანები, მლესავები. სხვათა შორის, ამაზე ცხადად განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც ბათუმში მზარეულების სკოლა გახსნა. მოიწვია იაპონელი მზარეულები, თითქოს საქართველოში არ გვყავდეს უმაღლესი დონის მზარეული. სააკაშვილმა იმ გახსნაზე განაცხადა, რომ ეს არის ქართული განათლების რეფორმის მწვერვალიო. ასე უბნელებს ის ადამიანებს გონებას. განათლების სისტემაში გარიყულია ქართული ენა. მუხრანის სიტყვების არ იყოს, ბნელა ამ ქვეყანაში! ქართული ენა, რომელიც მსოფლიოს 14 ენაში არის შესული თავისი გამორჩეულობითა და უნიკალურობით, ღვთის საიდუმლოების განმსაზღვრელი და განმარტებელი, განდევნილია ფაქტობრივად. ის აღარ არის სახელმწიფო ენა. როდესაც პრეზიდენტი და მისი, უკაცრავად და, დამქაში, ვითომ განათლების მინისტრი აცხადებენ, რომ ჩვენ არ მივცემთ დიპლომს იმ სტუდენტს, ვინც ინგლისური არ იცისო. ეს უკვე ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები, რომ საქართველოში სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ინგლისური. ეს არის მთელი უბედურება. ამ ბედშავებმა, პარლამენტარებმა და მინისტრებმა ნეტავ ქართული იცოდნენ და მერე, უნდათ — ინგლისური, უნდათ, პორტუგალიური ისწავლონ. ჩვენი პრეზიდენტი საყველპურო ენის ცოდნას ინგლისურში, ფრანგულსა თუ ჰოლანდიურში რომ ავლენს, მან, უპირველეს ყოვლისა, ქართული ისწავლოს.

***— არ იცის?***

— მის დაწერილ ერთგვერდიან წერილში თამაზ წივწივაძემ ასამდე შეცდომა აღმოაჩინა. უმეცრების უკუნეთია გაბატონებული. ამის სულის ჩამდგმელი ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილია.

***— ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქართული ენა არ იციან?***

— ჯერ მოუსმინეთ და მერე ნებისმიერ მათგანს დააწერინეთ ერთი გვერდი მაინც და ნახავთ, როგორ იციან. ეს ეხება როგორც პარლამენტარებს, ისე მთავრობის წევრებს, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე.

***— თუ გამოარჩევთ რომელიმე პარლამენტარს, როგორც კარგ მოქართულეს?***

— არა. როდესაც მეტყველებს გიორგი თარგამაძე, მას ეს დამუშავებული აქვს ჯერ კიდევ პიონერთა სასახლიდან, საიდანაც შემორჩა მეტყველების კულტურა, თორემ ქართული არ იცის და ორ სიტყვასაც ვერ დაგიწერთ. ქართულის ცოდნა არ გახლავთ მჭევრმეტყველების უნარი. ქართულის ცოდნა ნიშნავს წერდე ისე, რომ წვეთი წყალი არ გაუვიდეს. ესენი კი ისე წერენ და მეტყველებენ, რომ ტონობით წყალი გასდის.

***— სხვათა შორის, მოდური გახდა ინგლისური აქცენტით ქართულად საუბარი.***

— ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პროვინციალობის დამამტკიცებელია. ქართველი კაცი მიდრეკილია უცხო ენის სწავლისადმი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ენა იცოდე და გამოიყენო იმისთვის, რომ შენი კულტურა განავითარო, წინ წასწიო და არა იმიტომ, რომ შენი ენა და კულტურა ჩაკლა. ხომ გახსოვთ: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. მიზანიც სწორედ ეს არის, რომ ერიც დაეცეს და ქართული კულტურაც მოისპოს.

---

### 50 წლის მამაკაცი სანადირო თოფით დაჭრეს

სოფელ ძველ ანაგაში ყურძენთან დაკავშირებით დაწყებული დავა სისხლისღვრით დასრულდა. 50 წლის თამაზ ღვედაშვილი მისივე მეზობელი პეტრე ლობჟანიძემ სანადირო თოფით მუცლის არეში დაჭრა.

დაზარალებულს, სასწრაფო ოპერაცია წნორის რაიონულ საავადმყოფოში ჩაუტარდა. ექიმების თქმით, პაციენტის სიცოცხლეს საფრხე უკვე აღარ ემუქრება.

ღვედაშვილი და ლობჟანიძე ვენახს დარაჯობდნენ. წინასწარი ინფორამციით, ერთ ერთმა მათგანმა მეორეს სხვისი კუთვნილი ყურძნის მოპარვა შესთავაზა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. პეტრე ლობჟანიძემ დანაშაული თავად აღიარა და პოლიციას ჩაბარდა.

მედიანიუსი

### „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების პროცესშია

სახელმწიფო კომპანიების წინაშე არსებული დავალიანების გამო „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გაკოტრების პროცესი დაწყებულია.

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) გენერალური დირექტორის ირინა მილორავას ინფორმაციით, კომპანიას ესკოს მიმართ 3 142 მლნ ლარის, ხოლო სახელმწიფო ელექტროსისტემის მიმართ დაახლოებით 3 მლნ ლარის დავალიანება აქვს.

21 სექტემბერს დაგეგმილია კრედიტორთა სხდომა, სადაც გაირკვევა, დათანხმდება თუ არა „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ ვალის რესტრუქტურიზაციას. რესტრუქტურიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კომპანია გასხვისდება.

ინტერპრესნიუსი

### ზვიად ყუშიტაშვილი მისი დაკავების დეტალებზე დღეს ისაუბრებს

„ქართველი ემიგრანტების“ თავმჯდომარე ზვიად ყუშიტაშვილს დაკავებისას სცემდნენ და აწამებდნენ, — ამის შესახებ პოლიტიკური გაერთიანება „თეთრების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი ფარესიშვილმა განაცხადა.

ფარესიშვილმა ჟურნალისტებს ყუშიტაშვილის ღია წერილი გააცნო, სადაც ის უფლებადამცველებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს მიმართავს. იგი მისი გატაცების ფაქტს ევროპის ქვეყნებში დაგეგმილ აქციებს უკავშირებს.



— ყველასათვის ცნობილია ჩვენი გადაწყვეტილება ევროპის 6 ქვეყანაში საქართველოს საელჩოებთან და საკონსულოებთან საპროტესტო აქციების გამართვის თაობაზე. ჩვენი გადაწყვეტილებით შეშინებულმა ხელისუფლებამ დაიწყო ჩემი და ჩემი კოლეგების დაშანტაჟება კატეგორიული მოთხოვნით, უარი გვეთქვა საპროტესტო აქციების გამართვაზე. სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ არ დავეთანხმეთ, 3 სექტემბერს შსს-ს თანამშრომლებმა სასტუმრო „საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორიიდან გამიტაცეს, — აცხადებს ყუშიტაშვილი.

საკუთარი დაკავების დეტალებზე ყუშიტაშვილი ჟურნალისტებთან ხვალ ისაუბრებს. „ქართველი ემიგრანტების“ ხელმძღვანელის გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია 5 სექტემბერს გავრცელდა. 8-დღის შემდეგ, ყუშიტაშვილი 9 სექტემბერს, 18:00 საათზე, ელბაქიძის დაღმართის დასაწყისში ოთხმა ნიღბიანმა პირმა შავი ჯიპიდან ჩამოსვა.

ინტერპრესნიუსი

### გვინეა-ბისაუ მზადაა, მუამარ კადაფი შეიფაროს

აფრიკული სახელმწიფო გვინეა-ბისაუ მზადაა, მუამარ კადაფი შეიფაროს, — დასავლური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა.


მუამარ კადაფი

პრემიერი პოლკოვნიკ კადაფის უსაფრთხოების სრულ უზრუნველყოფას ჰპირდება.

მიმდინარე კვირას ლიბიის რევოლუციის ლიდერზე ინტერპოლმა საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა, თუმცა, მისი ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია. სხვადასხვა ინფორმაციით, პოლკოვნიკი ლიბიიდან ჯერ ნიგერიაში, შემდეგ კი ბურკინა-ფასოში გადავიდა. ამავდროულად, მისი ოფიციალური წარმომადგენელი აცხადებს, რომ ჯამახირიის ლიდერი მშობლიურ ქვეყანაში იმყოფება.

ინტერპრესნიუსი

### რუსეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლებმა საქართველოზე იმსჯელეს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის წარმომდგენელმა პატრიკ მაურერმა საქართველოს საკითხი განიხილეს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.


გრიგორი კარასინი

კარასინსა და მაურერს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. მათ კავკასიის პრობლემატიკა განიხილეს. მხარეებმა შვეიცარიის მიერ საქართველოში რუსეთის და რუსეთში საქართველოს ინტერესების წარმოდგენის შესახებაც იმსჯელეს. თუმცა, ვებგვერდი არ აკონკრეტებს, რა განცხადებები გააკეთეს კარასინმა და მაურერმა.

ისინი ასევე შეეხნენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ.

ინტერპრესნიუსი

### იულია ტიმოშენკო იანუკოვიჩს ძალადობაში ადანაშაულებს


იულია ტიმოშენკო

უკრაინის ექსპრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო ქვეყნის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩისგან მის მიმართ ძალადობას არ გამორიცხავს და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს. „თაიმსთან“ ინტერვიუში ტიმოშენკომ განაცხადა, რომ მისი გასამართლების საკითხი სასამართლო პროცესის დაწყებამდე იყო გადაწყვეტილი. ის დარწმუნებულია, რომ გაასამართლებენ, ციხეში კი, მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება.

— იანუკოვიჩისა და მისი გარემოცვისთვის არასოდეს გამიკეთებია მცირე მინიშნებაც კი, რომ მე მათი მეშინია. თუ ამ ადამიანს და მის ქმედებებს დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ჩემი უსაფრთხოება საფრთხის ქვეშაა, — განაცხადა ექსპრემიერმა.

მისივე თქმით, უკრაინის პრეზიდენტი მელი მსოფლიოსთვის უნიკალური მოვლენაა

— ის ხომ ხელისუფლებაში მოსვლამდე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ორჯერ იყო ნასამართლევი. ამიტომ, მისი მიდრეკილება ძალადობისადმი ინსტიქტურია და არა ხელისუფლებაში მოსვლის მერე შეძენილი, — განაცხადა ტიმოშენკომ.

ინტერპრესნიუსი

# გია გვაზავა: „საქართველო აფხაზეთის აღიარებას არ აპირებს“

### რას ვერ იყოფენ რუსი გენერლები და სერგეი შამბა

გულიკო ბალა ე

**ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავასთან**

— ***ბატონო გია, როგორია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პოზიცია აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებთან დაკავშირებით?***

— რა პოზიცია უნდა გაგვაჩნდეს, აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები არის არალეგიტიმური. ის მთელმა მსოფლიომ არალეგიტიმურად ცნო. ჩვენც მიგვაჩნია, რომ აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები არის არალეგიტიმური, სანამ არ დაბრუნდება ხიზანი მოსახლეობა, მანამ არ აღდგება სამართლიანობა.

— ***თვითონ იმ რეალობას როგორ აფასებთ, რომელიც დღეს არსებობს აფხაზეთში?***

— რეალობა ის არის, რომ დღეს არჩეულია ანქვაბი. ვფიქრობთ, ეს ადამიანი იმიტომ იქნა არჩეული, რომ წესრიგი დაამყაროს. ანქვაბი მკაცრი პოლიტიკოსია, რომელსაც აქვს უნარი და ქარიზმა, დაამყაროს მეტ-ნაკლები წესრიგი იმ არეულობაში, რასაც აფხაზეთი ჰქვია დღეს. ამიტომ არის, მე მგონი, რუსების რჩეული. რა თქმა უნდა, ის სრულიად ეთანხმება კრემლის პოლიტიკას. ანქვაბი თანახმაა ორმაგ მოქალაქეობაზე, სასაზღვრო საკითხების ისე გადაწყვეტაზე, როგორც რუსეთს მოუნდება და, რა თქმა უნდა, თანახმაა უძრავი ქონების გაყიდვაზე. ეს ის საკითხები იყო, რომლის თაობაზეც ვერ მორიგდნენ ბაღაფშთან. ახალი გუნდიც თუ არ დაეთანხმება, ალბათ, მათაც ცუდი ბედი ელით.

— ***გაიმარჯვა ანქვაბმა. ამით დემოკრატიულობის ილუზია შექმნა და კრემლი თვალთმაქცობდა, როცა შამბაზე აკეთებდა აქცენტს?***

— რა თქმა უნდა, ყველაფერი კრემლის სცენარით მიდის. კრემლმა ანქვაბზე არჩევანი იმიტომ გააკეთა, რომ ახლა კრემლს დემოკრატიულობის სურათის შექმნა სჭირდება. თითქოს აფხაზეთში დემოკრატია ყვავის. მეორე — უნდათ აჩვენონ, თითქოს აფხაზების საქმეში არ ერევიან. ამიტომ სჭირდებოდათ ანქვაბი. ეს ადამიანი უფრო მეტის გამკეთებელია მეტ-ნაკლებად წესრიგის დამყარებაში. ის მომართულია იმისთვის, რომ მკაცრ ზომებზე წავიდეს. ეს სჭირდება რუსეთს, რადგან აფხაზეთი უკვე გახდა შავი ხვრელი ნარკოტიკების, ფულის გათეთრებისთვის, იარაღის მოძრაობისა და ყველაფრისთვის, რაც იქ ხდება. თვითონ რუსეთს უჭირს უკვე აფხაზეთში სიტუაციის მართვა. ამიტომ რუსეთი ცდილობს მონახოს ისეთი პიროვნება, რომელიც დაიცავს კანონიერებას, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს არის, თორემ სინამდვილეში რუსებისთვის დამყოლი უფრო შამბა იყო. როდესაც ანქვაბმაც მზადყოფნა გამოაცხადა და ყველაფერს დაჰპირდა იმ პარამეტრებით, რომელიც მე დავასახელე, ანქვაბი არჩიეს.

— ***როდესაც კრემლი წინასაარჩევნოდ შამბას მხარდაჭერის თაობაზე განცხადებებს აკეთებდა, თამაშობდა, თორემ სინამდვილეში მისი ჩამოშორებაც უნდოდა, როგორც ბაღაფშის გუნდის წევრის?***

— დიახ. კრემლი თავისი დღედამოსწრება თამაშობს. უფრო მეტიც, ძალიან ცუდ თამაშებს თამაშობს. აქ მთავარი ის იყო, რომ ანქვაბი თვითონ აფხაზეთის საზოგადოებას აწყობდა. ესეც არ უნდა გამოვრიცხოთ იმიტომ, რომ თვითონ შამბა უფრო კლანური ტიპის პოლიტიკოსია, უფრო რბილია. მას არ აქვს ისეთი ქარიზმა, რომ მაფიოზურ სტრუქტურებს გაუმკლავდეს. ანქვაბს აქვს ამის ქარიზმა. ის გამოცდილი, ძალოვანი სტრუქტურების მუშაობის გამოცდილების მქონე პოლიციელია, უშიშროების კაცია. გარკვეული როლი კიდევ იმან ითამაშა, რომ შამბას ბოლო პერიოდში

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# გიორგი მოსიაშვილი: „მკვლელობისთვის გასამართლებული ნაციონალი პატიმრობიდან ერთ წელიწადში გაათავისუფლეს“

ქეთი ხომერიკი

2010 წელს თელავში დიდი ტრაგედია დატრიალდა — 42 წლის დიმიტრი დენტოშვილი მოკლეს სასტიკი ცემის შედეგად. ეს საკრებულოს წევრმა, ნაციონალური მოძრაობის სიით გასულმა თეიმურაზ მეტრეველმა ჩაიდინა, რომელმაც მეგობრებთან ერთად ლინჩის წესით გაასამართლა დენტოშვილი, რომელიც ცემის შედეგად გარდაიცვალა. ამის მიუხედავად მეტრეველი უკვე თავისუფალია, მას სულ რაღაც ერთი წელი მოუწია ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისათვის საპატიმროში ყოფნა და სასჯელის მოხდა. როგორც ჩანს, დღეს არასრულწლოვნებს ხულიგნობა-ყაჩაღობისთვის, სხვებს „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობისთვის 12-წლიან პატიმრობას უსჯიან, მკვლელობისთვის გასამართლებულ ნაციონალური მოძრაობის წევრს კი — სულ რაღაც ერთ წელს... ნაციონალური მოძრაობის წევრს 12 წლით საპატიმროში ვინ გამოკეტავს, არ შეიძლება, არა, მკვლელიც რომ იყოს მაინც....




ამის შესახებ „ახალ თაობას“ „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი მოსიაშვილმა ამცნო. მოსიაშვილი გაოგნებულია, რომ მკვლელობისთვის გასამართლებული ნაციონალური მოძრაობის წევრი ერთ წელიწადში გაათავისუფლეს.

— ეს იყო კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი, როდესაც დღისით, მზისით ქუჩაში მოკლეს ადამიანი. 2010 წლის 3 ივლისს თელავში, კულტურისა და დასვენების პარკში ჩხუბი მოხდა. სახელისუფლებო პარტიიდან თელავის საკრებულოს წევრმა თემურ მეტრეველმა, 42 წლის დიტო დენტოშვილმ სასტიკად სცემა. ცემის შედეგად დენტოშვილმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. ის ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობით თელავის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. თელავის პოლიციაში საავადმყოფოდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე სს საქმე იმავე დღეს აღიძრა. დენტოშვილი 7 ივლისს გარდაიცვალა. თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 2010 წლის 9 თებერვალს თეიმურაზ მეტრეველი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, საიდანაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, რეალურად თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა 1 წელი, ხოლო დარჩენილი 3 წელი საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი; ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით — აღნიშნულია განაჩენში, — აცხადებს მოსიაშვილი.

მისი თქმით, რამდენადაც სამწუხარო და გასაკვირი უნდა იყოს, ეს ადამიანი უკვე გათავისუფლებულია პატიმრობიდან, რაც მიუთითებს კიდევ ერთხელ იმ მდგომარეობაზე, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში სამართლიანობის მხრივ.

— კონკრეტულ მაგალითად კი ერეკლე ცოცანიძეს მოვიყვან, რომელიც გამოირჩეოდა, როგორც აქტიური ოპოზიციონერი და რომელსაც სასამართლომ წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 3 000 ლარი გადაახდევინა საპროცესო შეთანხმების თანახმად დღეს გისოსებს მიღმაა, ნაციონალური მოძრაობის წევრი, მკვლელობაში ბრალდებული კი თავისუფალია. აი, ასეთი დემოკრატიული ქვეყანაა საქართველო, სადაც სამართალი უბრალოდ, არ არსებობს. სამწუხაროა, რომ ნაციონალური მოძრაობა ათავისუფლებს საკუთარი პარტიის წევრ მკვლელებს და აკავებს უმნიშვნელო დანაშაულში ბრალდებულ ადამიანებს, რომლებიც არ არიან ნაციონალური მოძრაობის წევრები — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბრისას მოსიაშვილმა.

# ცხინვალში პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვი მატულობს

### თედეევი საქმის აღ ვრას ითხოვს

თეა მარხვაი ე

**სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია რამდენიმე დღის წინ დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო პრეზიდენტობის მსურველი ბევრი გამოჩნდა. არჩევნებში მონაწილეობაზე განაცხადი 5 კანდიდატმა უკვე შეიტანა. რამდენიმეც მომავალში მიაკითხავს ცესკოს. პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია 8 ოქტომბრამდე გაგრძელდება.**

ბოლოს ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც პრეზიდენტობის პოსტზე გენო კაჯაევის კანდიდატურა წამოაყენა.

სააგენტო „რეს“-ის ცნობით, ცესკოში განაცხადები უკვე შეიტანეს: ალან კოჩიევმა, დიმიტრი ტასოევმა, ვლადიმერ კელეხსაევმა, სერგეი ბიტიევმა და ძამბოლატ თედეევმა.

ამ არჩევნებზე საუკუთარი კანდიდატურა ეყოლება კოკოითის გუნდსაც. როგორც რუსული მედია წერს, კოკოითის რჩეულის ვინაობა 20 სექტემბრის შემდეგ გაირკვევა. ამ დროისთვის როგორც ამბობენ კონსულტაციები მოსკოვთან მიმდინარეობს. რომელსაც შეიძლება არჩევნებზე სხვა ფავორიტი ჰყავდეს.

მართალია ცესკოში განაცხადები შეტანილია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არჩევნებში ყველა მათგანი მიიღებს მონაწილეობას.

— შემოსულია დოკუმენტაცია, ჩვენ მას ვსწავლობთ და პასუხს 5 დღის ვადაში ვაცნობებთ საინიციატივო ჯგუფებს, — აცხადებს ოსური ცესკოს თავმჯდომარე ბელა პლიევა.

ამდენად არ არის გამორიცხული ცესკომ ვინმე „დაბრაკოს“. ასეთი შემთხვევები აქ წინა არჩევნებზეც იყო. სხვათა შორის 2001 წლის არჩევნებზე კინაღამ თვით კოკოითიც თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა. დიმა სანაკოევს მისთვის სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა რომ არ გაეჩალიჩებინა, კოკოითი არჩევნების მეორე ტურიდან შეიძლება მოეხსნათ. ცნობისათვის, მაშინ დიმა სანაკოევს სამხრეთ ოსეთში პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა.

აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით აქაური არჩევნები უფრო სკანდალური იქნება. სკანდალები აქ უკვე მრავლად მოხდა. და როგორც ექსპერტები ამბობენ ყველაფერი ჯერ წინ არის. მითუმეტეს, რომ რუსეთს ჯერ არ დაუფიქსირებია ღია მხარდაჭერა რომელიმე პერსონის მიმართ.

არ არის გამორიცხული კრემლმა მხარი ძამბოლატ თედეევს დაუჭიროს. მას რუსეთის ხელისუფლებასთან გადასარევი ურთიერთობები აქვს. თუმცა კრემლის მხარდაჭერამდე მან ცესკოსგან ნებართვა უნდა აიღოს.

ეს კი ეჭვის ქვეშ დგას. რადგანაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და სამხრეთ ოსეთში შესვლის უფლება არა აქვს. ამის გარდა მას არც სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა ჰქონდა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ არ აკმაყოფილებს კონსტიტუციურ ნორმას. მას




ბოლო ათი წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთში არ უცხოვრია. აქაური კონსტიტუციით კი არჩევნებში მონაწილეობისთვის სამხრეთ ოსეთში კანდიდატი ბოლო ათი წლის განმავლობაში უცნდა ცხოვრობდეს.

თუ კრემლიდან ზეწოლა არ იქნა მას სავარაუდოდ რეგისტრაციაში არ გაატარებენ. შესაძლოა არც ამან არ გაჭრას. ცოტა ხნის წინ კოკოითიმ ღიად თქვა, რომ ამა თუ იმ კანდიდატის გატარება რეგისტრაციაში მოსკოვიდან განხორციელებულ ზარზე არ იქნება დამოკიდებული.

თედეევის რეგისტრაციაში გატარებას ხელი ბოლო დროს მომხდარმა ინციდენტებმა შეიძლება შეუშალოს.

29 აგვისტოს ცხინვალში, მის სახლთან ავტომანქანა „ნივა“ აფეთქდა. ხელისუფლება ამ აფეთქებას თედეევს და მისი თანამოაზრეებს აბრალებს. ისინი კი ხელს კოკოითისკენ იშვერენ.

საიტმა „უსამონგამ“ რომლის უკანაც თედეევი დგას 7 სექტემბერს სკანდალური მასალა გამოაქვეყნა. საიტზე განთავსებულ 3-წუთიან ვიდეორგოლში კოკოითის პირადი დაცვის მაღალჩინოსანი სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ამის შესახებ წინა კვირაში უკვე წერდა „ახალი თაობა“.

პირადი დაცვის სამსახურის მაღალჩინოსანი ირბეკ ბატაევი (ჩვენ ის შეცდომით თედეევად მოვიხსენიეთ) ამბობს რომ მას კოკოითის დავალებით ძამბოლატ თედეევის აფეთქება დაავალეს. მან ამაზე უარი თქვა და თანამდებობა დატოვა. ბატაევი დარწმუნებულია, რომ 29 აგვისტოს თედეევის სახლთან აფეთქება ხელისუფლებამ მოაწყო.

ამ ბრალდებებთან დაკავშირებით ცხინვალის ხელისუფლებას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ თედეევმა ოფიციალური წერილით მიმართა სამხრეთ ოსეთის პროკურორსა და შს მინისტრს. ის ირბეკ ბატაევის განცხადებების გამოძიებას ითხოვს.

ძნელი სათქმელია მართალს ამბობს თუ არა კოკოითის დაცვის ექსთანამშრომელი. მოქმედი პრეზიდენტი ყველაფერზე წამსვლელი ნამდვილად არის. თუმცა ამ მხრივ არც თედეევია ანგელოზი. ათი წლის წინ კოკოითი პრეზიდენტად რომ გაეყვანა, მან და მისმა გარემოცვამ ათასი რამე მოიგონეს. კაცს, რომელზეც ძებნა იყო გამოცხადებული არჩევნებში გაამარჯვებინეს.

ამდენად გამორიცხული არ არის, კოკოითიზე განაწყენებული ბატაევი თედეევის გარემოცვამ სათავისოდ გამოიყენოს. მან საჭირო განცხადება უკვე გააკეთა.

პირად დაცვასთან კოკოითის რამდენჯერმე მოუვიდა უთანხმოება. მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს, მან თანამდებობიდან გაათვისუფლა სახელმწიფო დაცვის სამსაზურის უფროსი გენადი კოკოევი. მას პირადი დაცვის უფროსი ლუდვიგ კოკოევიც მიაყოლა თან.

ვნახოთ, რა კომენტარებს გააკეთებენ სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურები. ყველაზე საინტერესო კი ის იქნება რა განაჩენს გამოუტანს ცესკო ძამბოლატ თედეევს. რეგისტრაციის გაუტარებლობის შემთხვევაში ის დიდი აურზაურით იმუქრება.

რამდენიმე თვის წინ მან თქვა, რომ არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ მოსკოვის თანხმობის შემთხვევაში მიიღებდა. როგორც ჩანს თანხმობა მიიღო. სხვათა შორის, ბოლო დროს ის ორჯერ შენიშნეს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან. საეჭვოა, რომ თედეევი მასთან ჭიდაობაზე სასაუბროდ მისულიყო.

# კულტურის სამინისტრომ წიგნების პრეზენტაცია მოაწყო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „არტ კაფეში“ გიგი სულაკაურის პოეტური კრებულის „ხეტიალი“ და ზურაბ სამადაშვილის რომანის „ხმაურიანი დღეები“ პრეზენტაცია გაიმართა.

გიგი სულაკაურის პოეტური კრებული „ხეტიალი“ „ქართული ბიოგრაფიული ცენტრის“ მიერ არის მომზადებული. გიგი სულაკაურის ლექსები პირველად, კრებულის სახით, 1995 წელს დაიბეჭდა, სახელწოდებით „საგნები თოვლში“. მას მოჰყვა „ზოდიაქოს ბორბალი“, „კედელი“, „ხეები, ბიჭი და სხვა“, „ქუჩის ბიჭების გასაგონად“. ასევე მოთხრობების კრებულები „მე და ჩემი ლიზა“ და „თამაში რევოლვერთან“, რომელიც 2008 წელს დაჯილდოვდა ლიტერატურული პრემიით „საბა“, როგორც წლის საუკეთესო პროზაული კრებული. გიგი სულაკაურის ლექსები კრებულის სახით, ათწლიანი პაუზის შემდეგ, სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა და ის ავტორის რჩეულ პოეტურ ნაწარმოებებს აერთიანებს.

გიგი სულაკაურის კრებული სულ 500 ტირაჟით გამოიცა და როგორც პოეტი აცხადებს, წიგნში 92 წლიდან დღემდე დაწერილი ლექსებია შესული.

— პოეტისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია პრეზენტაციები, დაბადების დღესავითაა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ კრებულის გაცნობა საზოგადოებისთვის, რისთვისაც მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ წიგნის გამოცემაში დამეხმარა, — განაცხადა პრეზენტაციაზე გიგი სულაკაურმა.

ზურაბ სამადაშვილის რომანი კი „ხმაურიანი დღეები“ სამინისტროს ხელშეწყობით 2011 წელს გამომცემლობა „საარის“ მიერ მომზადდა და გამოიცა. რომანი 1994 წელს დაიწერა. წიგნი მოგვითხრობს XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოზე, მის დედაქალაქზე და იმ თაობაზე რომლის თვალწინაც აფხაზეთის ომმა ჩაიარა. რომანს სამი მთხრობელი ჰყავს, რაც საშუალებას აძლევს მწერალს ნათლად წარმოგვიდგინოს ორი თაობის დამოკიდებულება 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ.საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში 2011 წელს არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელდა. მხატვრული ლიტერატურის თარგმანებისა და უნიკალური წიგნების რეპრინტების ხელშეწყობის პარალელურად, სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი თანამედროვე ქართველი მწერლების გამოცემების ხელშეწყობაა.

— ეს ჩემი პირველი პრეზენტაციაა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 6 წიგნი გამოვეცი. აქამდე მეგონა, რომ წიგნის დაინტერესებას პრეზენტაციები და ამგვარი ღონისძიებები სჭირდებოდა. ახლა მივხვდი, მის აუცილებლობას. მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კულტურის სამინისტროს, — განაცხადა ზურაბ სამადაშვილმა.

„არტ კაფეში“ გამართული წიგნების პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუაც დაესწრო.

— ეს წიგნები ლიტერატურის ზეიმია. რომანში ასახულია ბოლო პერიოდის უმძიმესი მდგომარეობა. სამწუხაროდ, წაკითხული არ მაქვს და მინდა მალე გავეცნო. ვულოცავ მათ და საზოგადოებას ასეთი, საინტერესო წიგნების შემატებას ქართული ლიტერატურისთვის. ვუსურვებ მათ არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ბაზარზე გასვლას, — აღნიშნა ნიკოლოზ რურუამ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა მიმდინარე პროექტის „სუვენირები საქართველოდან“ პირველი ეტაპის და ამავე სახელწოდების კატალოგის პრეზენტაციაც. პრეზენტაციას კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, ხალხური რეწვის ოსტატები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმდინარე პროექტის „სუვენირები საქართველოდან“ პირველი ეტაპი დასრულდა. პროექტი გულისხმობს ძველი ოსტატების მუდმივ ძიებას, მათი ნამუშევრების პოპულაზიციას, ახალგაზრდა მხატვრების დაინტერესებასა და ჩართვას, ძველი ქართული ორნამენტების აღდგენა□გამოყენებას, ქართულ მოტივებზე უახლესი ნამუშევრების შექმნას, სამუზეუმო ასლების დამზადებასა და ახალი და გამოცდილი კადრების დასაქმებას.

პროექტის ფარგლებში მომზადდა პირველი კატალოგი „სუვენირები საქართველოდან“, სადაც თავმოყრილია 50 ოსტატის, როგორც პროფესიონალების, ისე სტუდენტების ათობით ნამუშევარი, მათ შორის ხეზე ჭრა, ნაქარგობა, ქართული ტრადიციული ოსტატობის, ქართული სამოსის, ხალხური რეწვის, მინანქრის, ბრინჯაოს ჭედურობის ნიმუშები და ასევე, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნები.

— პროექტისა და კატალოგის მიზანია უნიკალურ ქართულ შემოქმედებასა და მათ ავტორებზე მუდმივად განახლებული ინფორმაციის მიწოდება ფართო საზოგადოებისათვის. დასაქმების მასშტაბების გაზრდა, იმ ხელოვნების წარმოჩენა, რომელიც დღეს იქმნება. კატალოგში ჩანს მაღალმხატვრული მრავალფეროვანი ნამუშევრების ხარისხი, გემოვნება და პოტენციალი. გამოცემაში შესული ნივთები არაჩვეულებრივი სასაჩუქრე პაკეტია და ნიშნავს, რომ საქართველოში შესაძლებელია ქართული ხასიათის მქონე ასეთი სუვენირების შეძენა, რომელიც თამამად გასცდება ქვეყნის ფარგლებს, — განაცხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა სამინისტროს პროექტის „სუვენირები საქართველოდან“ ფარგლებში ეს პირველი კატალოგია, რომელიც პერმანენტულად განახლდება და საზოგადოებას მუდმივად ახალ ინფორმაციას მიაწვდის.

# ნიქოზში ანიმაციური ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

12 სექტემბერს სოფელ ნიქოზში პირველი საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი ჩატარდება. შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის ცნობით, ფესტივალი ნიქოზის ხელოვნების სკოლის ინიციატივით, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია) ლოცვა-კურთხევით და შიდა ქართლის გუბერნატორ ზურაბ არსოშვილის მხარდაჭერით გაიმართება.

ფესტივალში ამერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთის, ბელორუსის, აზერბაიჯანისა და რუსეთის დელეგაციები მიიღებენ მონაწილეობას. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ანიმაციური ფილმების ჩვენება, ნიქოზის ანიმაციის სტუდიის ბავშვებისთვის პროფესიონალი ანიმატორებისგან მასტერკლასების ჩატარება და კულტურული ღონისძიებები, რომელშიც ანჩისხატის მგალობელთა გუნდი, გორის ქალთა კამერული გუნდი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გორი“ და „ჩრდილების თეატრი“ მიიღებენ მონაწილეობას. ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა შეხვედრები ქართველი და უცხოელ კინემატოგრაფისტებთან.

ფესტივალის ფარგლებში ალიასკას ქალაქ კოდიაკის სასულიერო აკადემიის გუნდის სოლო-კონცერტიც გაიმართება. ფესტივალის ორგანიზატორების აზრით, „ცხინვალის მოსაზღვრე სოფელში ასეთი ღონისძიების ჩატარება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ის ადგილობრივი მოსახლეობის და განსაკუთრებით ბავშვების განათლებას და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას შეუწყობს ხელს“. ფესტივალის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, პოლონეთის საელჩო საქართველოში, გორის გუბერნია, სტუდია „კვალიXXI“, ა/ო საქართველოს ამერიკელი მეგობრები.

ნიქოზში დაგეგმილი პირველი საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი საეპისკოპოსო სასახლეში გაიხსნება, სადაც ნაჩვენები იქნება დოკუმენტური ფილმი „და იყო მშვიდობა“. ფესტივალის პირველი დღე ქალთა კამერული გუნდის კონცერტით გორის კულტურის ცენტრში დაიხურება.

ღონისძიების ფარგლებში ანიმაციური ფილმების ჩვენება გორის კულტურის ცენტრში შედგება, სადაც ანსამბლ „გორის“ კონცერტით დასრულდება. მასტერკლასები კი ნიქოზში გაიმართება. აქვე შედგება საუბრები ანიმაციაზე ქართველი და უცხოელი ანომატორების მონაწილეობით.

ფესტივალში ჩართულია „ჩრდილების თეატრი“, რომელიც გორში საკუთარ სპექტაკლს წარმოადგენს. ანიმაციის ფესტივალის ეგიდით გორში მოეწყობა კოდიაკის სასულიერო აკადემიის სტუდენტების სოლო კონცერტი. ფესტივალის პროგარამაშია უფლისციხის დათვალიერება, ხოლო დღის ბოლოს გალობის საღამო ანჩისხატის გუნდის მონაწილეობით შედგება. ფესტივალის დახურვა ნიქოზის საეპისკოპოსო სასახლეში გაიმართება. ნიქოზში დაგეგმილი პირველი საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი 18 სექტემბერს დასრულდება.

24 და 25 სექტემბერს კი ხაშურის მუნიციპალიტეტში ფესტივალი „ხაშური, ოქროს შემოდგომა — 2011“ მოეწყობა. შემოდგომის დღესასწაული მუნიციპალიტეტის გამგებლის, მამუკა მოსიაშვილის ინიციატივით წელს პირველად ტარდება.

„ხაშური, ოქროს შემოდგომა — 2011“ სახალხო დღესასწაულია, სადაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას. გარდა საქართველოს დედაქალაქიდან და სხვა ქალაქებიდან მოწვეული სტუმრებისა, ფესტივალს დაესწრება ოფიციალური დელეგაციები 5 ქვეყნიდან — უკრაინა, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი და ბელორუსია. უკრაინის ქალაქ ნოვოგრად□ვოლინსკთან და ლიტვის ქალაქ რადვილიშკისთან ხაშურის მუნიციპალიტეტს ოფიციალური პარტნიორობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ფესტივალის ფარგლებში იგეგმება ანალოგიური ხელშეკრულებების გაფორმება ლატვიის ქალაქ ბაუსკასთან, ბელორუსის ქალაქ გორკთან და პოლონეთის ქალაქ ტარნოვთან. ფესტივალის ქართველი და უცხოელი სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ რთველში, გაეცნობიან ქართულ ტრადიციებს და დაესწრებიან ადგილობრივი და დედაქალაქის შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტს. იგეგმება საპატიო ხაშურელების დაჯილდოვებაც. ფესტივალის მეორე დღე მთლიანად დაეთმობა „ლესიაობის“ ტრადიციულ დღესასწაულს, რომელიც ეძღვნება უკრაინელი პოეტი ქალის ლეისა უკრაინკას ხსოვნას.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორების მიერ აგვრცელებულ საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი, „ოქროს შემოდგომის“ ფესტივალი ხაშურში ყოველწლიურ ტრადიციად დამკვიდრდება.

# ზესტაფონის თეატრში პრემიერისთვის ემზადებიან

ეკა ირემაშვილი

ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი რეჟისორი ალექსი ჯაყელი პრემიერაზე მუშაობს. რეჟისორი უკვე წლებია საფრანგეთში ცხოვრობს და ქალაქ ლა ბოლში მის მიერვე დაარსებულ თეატრალურ კომპანია „პრესტო□ანდანტეს“ წარმატებით ხელმძღვანელობს. ზესტაფონის თეატრთან თანამშრომლობის ფარგლებში, ალექსი ჯაყელი ოთხ ახალ დადგმას შესთავაზებს თეატრის მოყვარულ საზოგადოებას.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)





## განცხადებები

- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.
- ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.
- მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.
- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

# მოსალოდნელი მარცხი — საქართველოსთვის ლიტვა დამთავრდა

**საქართველო — ფინეთი 73:87**
**(13:22, 29:14, 18:25, 21:26**

**საქართველო:** ვ.ბოისა, მარკოიშვილი (10ქ,5მ,4პ), ჰეინსი (8ქ), სანიკიძე (16ქ,9მ,), ცქიტიშვილი (13ქ,6მ), გამყრელიძე (7ქ,5პ,), ა.ბოისა (2ქ), შერმადინი (13ქ,), ფარღალავა, შენგელია (12ქ,6 მ)

**ფინეთი:** ჰაფი (10ქ), ლი (5ქ,5მ), კოტი (12ქ,7მ), კოპონენი (12ქ), რანიკო (10ქ,6პ); კოივისტო (14ქ), ნიკილა (4ქ), მუურინენი (11ქ,9მ), სალინი (7ქ), მაკალაინენი (2 ქ)

ლიტვაში მიმდინარე ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალში გასვლის შანსი დაკარგად. არადა, ჩემპიონატის წინ ვინ იფიქრებდა, თუ რომელიმე სტატიის დაწერის დაწყება ამ სიტყვებით მოგვიხდებოდა. გუნდის მთავარი მიზანი მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა იყო — თურმე მეტიც შეიძლებოდა. რომ არა გუნდის ორი წამყვანი კალათბურთელის — ზაზა ფაჩულიასა და გიორგი ცინცაძის ტრავმები, ალბათ ამ ბარიერის დაძლევაც შეიძლებოდა.

ფინელებთან მატჩი სანიკიძის სამქულიანით გაიხსნა, რასაც შონ ჰუფმა იგივეთი უპასუხა. მომდევნო 3 წუთი დაცვითი თამაში მიმდინარეობდა. სანიკიძის ჩატენილს ფინელებმა სამქულიანით უპასუხეს — კოპონენის სროლის შემდეგ ფინეთი 6:5 დაწინაურდა. 5 წუთის შემდეგ ასეთი მცირქულიანი ანგარიშია.

ვიქტორ სანიკიძე მეორე სამქულიანს აგდებს და მეოთხედის დასრულებამდე 3:30 წუთით ადრე ფინეთის უპირატესობა 1 ქულამდე მცირდება. მარკიზ ჰაინსი საჯარიმოს ხაზიდან ანგარიშს ათანაბრებს — 9:9. მურინენი ქართველების შეუთანხმებლობით სარგებლობს და ფარქვეშიდან ორქულიანს ითვლის, ხოლო ანტი ნიიკილა საჯარიმოებით ფინეთს 4 ქულით აწინაურებს — 13:9. შერმადინი საჯარიმოს ხაზიდან ზუსტია, თუმცა მიკო კოივისტო სამიანს ითვლის და 16:11 ფინეთის სასარგებლოდ სირენამდე 1:40 წუთით ადრე. სალინი საჯარიმოებს აგდებს, თუმცა შერმადინი შენგელიას აცილებულს ამატებს — 13:18. დარჩენილ დროში ქულები მხოლოდ ფინელებმა მითვალეს, ქართველებმა კი საჯარიმოები ააცილეს და მეოთხედი 22:13 დასრულდა.

მეორე მეოთხედი საქართველოს ნაკრებმა ჩინებულად დაიწყო. 2-წუთიანი მონაკვეთი 8:0 მოიგო, ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა, თან ფინელებს უკვე 4 გუნდური ჯარიმა დაუგროვდათ. 23:24 ტაიმის დასრულებამდე 6:30 წუთით ადრე. კოპონენი მორიგ სამქულიანს აგდებს და 27:23. შერმადინი ორქულიანს აგდებს, თან ფინელ მეურვეს აიძულებს დასჯარიმდეს. საჯარიმოსაც ზუსტად ესვრის და ქართველები ჩამორჩენას მინიმუმამდე ამცირებენ — 26:27. კოივისტოს მორიგი სამქულიანს და ფინელები კვლავ წინ გადიან — 30:26.

მარკიზ ჰაინსმა პირველი შედეგიანი გარღვევა განახორციელა. ჩვენები დაცვაში კარგად დგანან, ბურთს იღებენ და შენგელია კონტრშეტევას ზუსტად აგვირგვინებს — 30:30 პირველი ტაიმის დასრულებამდე 3 წუთით ადრე. ტუკა კოტი საშუალო მანძილიდან ორქულიანს აგდებს, რასაც ჩვენების შეტევაში ჯარიმები და ფინელი მაკალაინეს ორქულიანი მოჰყვა. გამყრელიძე ფინელებს შორი ორქულიანით პასუხობს, შემდეგ ერთ საჯარიმოსაც აგდებს — 33:34 სირენამდე 30 წამით ადრე. ფინელები სწრაფ შეტევას ახორციელებენ და ტუკა კოტი ფარქვეშიდან ორიანს აგდებს — 36:33 ფინელების სასარგებლოდ. იგორ კოკოშკოვი წუთშესვენებას იღებს, დასრულებემდე კი 27 წამია, თუმცა აღარაფერი იცვლება — 36:33.

კიმო მურინენმა ზედიზედ 2 ორქულიანით გახსნა მეორე ტაიმი, რასაც მარკოიშვილმა ასევე ორქულიანით უპასუხა — 35:40. ჩვენები შეტევაზე ბურთს ვერ უფრთხილდებიან და კონტრშეტევით კოპონენი ფინეთის უპირატესობას 7 ქულამდე ზრდის — 42:35. ცქიტიშვილის ზუსტი საჯარიმოების შემდეგ ჩამორჩენას 5 ქულამდე შემცირდა. ფინელთა უკანახაზელი ტემუ რანიკოს შორეული სროლის შემდეგ ფინელები 9 ქულით გადიან წინ — 46:37. მესამე მეოთხედის დასრულებამდე 6 წუთია, კოკოშკოვი წუთშესვენებას იღებს, რის შემდეგაც მარკიზ ჰაინსი სამქულიანს აგდებს. ფინელები ერთ საჯარიმოს აგდებენ, რასაც შერმადინი ორქულიანით პასუხობს, რასაც მარკოიშვილისა და შენგელიას ორქულიანები მოჰყვა და ქართველები ჩამორჩენას 2 ქულამდე ამცირებენ — 46:48. ფინელები ლიდერობას კბილებით იცავენ. კოტი საჯარიმოს ხაზიდან ზუსტია — 50:46 სირენამდე 4 წუთით ადრე. სანიკიძე ორიანს აგდებს, რანიკო კი სამიანით პასუხობს 48:53 ფინეთის სასარგებლოდ. ჯარიმებით ფინელები 3 ქულას აგროვებენ და უპირატესობას ზრდიან — 56:48. კოივისტო სამქულიანს აგდებს და სკანდინაველთა ლიდერობა მატჩში მაქსიმუმს აღწევს — 59:48.

ანატოლი ბოისა ზუსტი გარღვევით ჩამორჩენას 9 ქულამდე ამცირებს, თუმცა ფინელები კვლავ აიძულებენ ჩვენებს, დაჯარიმდნენ და ნიიკილა კვლავ 11 ქულით აწინაურებს ფინეთს. შენგელიას ზუსტი გარღვევის შემდეგ მეოთხედიც მთავრდება — 61:52 ფინელთა სასარგებლოდ.

ფინეთი არ ჩერდება — აშკარად გადაღლილი კოკოშკოვის გუნდის გატეხვა უკვე იოლი გახდა. ზუსტი სამქულიანებით და საშუალო ტყორცნებით სკანდინავიელები სოლიდურ უპირატესობას ინარჩუნებენ. საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე სალისნის სროლის შემდეგ საქართველო 59:73 ჩამორჩა. კოპონენის სამქულიანის შემდეგ ფინელების უპირატესობა 16 ქულამდე იზრდება — 77:61 დასრულებამდე 4:30 წუთით ადრე. ცქიტიშვილის, შენგელიასა და ჰაინსის წარმატებული გარღვევების შემდეგ საქართველოს მცირე შანსი გამოუჩნდა — ჩამორჩენა 11 ქულამდე შეამცირა. მატჩის დასრულებამდე 2:25 წუთია. თუმცა, მეტის გაკეთება ჩვენებს აღარ შეეძლოთ და საბოლოოდ 87:73 დამარცხდნენ — ყველაზე დიდი სხვაობით ამ ჩემპიონატზე.

# დინამოს მშველელი ისევ ესპანელია

**ვიტ ჯორჯია — მეტალურგი 0:2**
**მცხეთა. მცხეთა პარკი.**
**599 მაყურებელი**
***0:1, 0:2 ტატანაშვილი (49,62)***

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ადამაძე, კასრაძე, ხურცილავა, გიორგი გურეშიძე (კუხალეიშვილი 74), ჯანელიძე, ღანიაშვილი, მაისაშვილი (ვასაძე 62), ზაქრაძე (ვაშაკიძე 46), კორიფაძე, ჩიმაკაძე.

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, კვახაძე, კვარაცხელია, სეთურიძე, გეწაძე (დობროვოლსკი 80), გ.მიქაბერიძე (პავლიაშვილი 76), რაზმაძე, ქავთარაძე (გავაშელიშვილი 69), ჭედია, ტატანაშვილი.

როგორც იქნა, კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილმა მეტალურგმა დალაგებული თამაში აჩვენა და მცხეთაში სამი ქულა აიღო. მეტალურგმა მეტოქეს ყველა კომპონენტში ჯობდა და აშკარად დაჩაგრა — განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ამას კი, დიდწილად დიმიტრი ტატანაშვილს უნდა უმადლოდეს, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში პირველი დუბლი მიითვალა. აქამდე კი მეტალურგის მაისურით გოლი გატანილი არ ჰქონდა.

რაც შეეხება ვიტ ჯორჯიას, როგორც ჩანს, ამ გუნდის წარმატებული პერიოდი უკვე ისტორიაა და ახალი შედეგების მომკამდე დიდი დრო დასჭირდებათ. იყო პერიოდი, როდესაც ვეტერინარები შინ თუ გარეთ ნებისმიერ მეტოქესთან 3 ქულის ასაღებად იბრძოდნენ, ახლა კი თითქმის ყველა მეტოქე მათთან ფავორიტის რანგში გადის და თუ თამაში არ გამოასწორეს, ჩემპიონატის საუკეთესო 8 გუნდში მათი მოხვედრა, რაც ავტომატურად ლიგაში ადგილის შენარჩუნების გარანტიას იძლევა, სათუო გაუხდებათ. ამის თქმის უფლებას მათი უნიათო თამაში გვაძლევს — ვეტერინარები მთელი მატჩის განმავლობაში საკუთარი კარის დაცვით იყვნენ დაკავებული, შეტევაში გადასვლა უჭირდათ და რუსთაველთა კარს სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ.

თუმცა, პირველ ტაიმში რუსთაველებიც ასეთივე უნიათოდ გამოიყურებოდნენ და შესვენებამდე თამაში უინტერესო საყურებელი იყო. გუნდებს ერთმანეთის კარისკენ ხეირიანად არ გაუხედავთ და მოედანზე მხოლოდ ხისტი ბრძოლები იყო გაჩაღებული.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, რომ რევაზ გეწაძემ მარცხენა ფლანგიდან კუთხური მოაწოდა, ხოლო ტატანაშვილმა მეტოქე მცველების პოზიციური შეცდომით ისარგებლა და ახლო მანძილიდან შემოტრიალებით ანგარიში გახსნა. გატანილი გოლიდან ერთ წუთში, ტატანაშვილმა ასისტენტობა გიორგი მიქაბერიძეს გაუწია, რომელმაც თბილი-



სელთა საჯარიმოს ხაზიდან სახიფათოდ, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

59-ე წუთზე რუსთაველებმა მარჯვენა ფლანგიდან ბურთის მოწინააღმდეგის საჯარიმოში ჩააგდეს, სადაც ტატანაშვილმა იბრძოლა და მიქაბერიძემ მივიდა, მას კი, ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა არ აცალეს.

მეტალურგის შეტევები გაგრძელდა და მარცხენა ფლანგიდან მიქაბერიძის პასის მერე, კართან ძალიან ახლოს მყოფმა გიორგი ჭედიამ ანგარიშის გაზრდის ძალიან რეალური შანსი ვერ გამოიყენა. 62-ე წუთზე, მარცხენა მცველმა ლაშა ჯაფარიძემ ბურთი თავისი ნახევრიდან ისე ატარა, რომ ყოფილმა თანაგუნდელებმა ხელი არ შეუშალეს, მანაც დროულად შენიშნა ტატანაშვილი, რომელმაც საკუთარი შანსი ხელიდან არ გაუშვა. 65-ე წუთზე, ტატანაშვილს ჰეთ თრიკის შესრულება შეეძლო, როდესაც მარცხენა ფლანგიდან ჯაფარიძის ჩამოწოდებული ბურთი თავით დაარტყა, თუმცა ძაძამიას ვერ აჯობა.

ვიტ ჯორჯიამ სტუმართა კარს სახიფათოდ ერთადერთხელ შეუტია და ისიც სტანდარტული მდგომარეობიდან — 71-ე წუთზე ჯანელიძემ მარცხნიდან საჯარიმო შეასრულა და ბესიკ ჩიმაკაძემ ბურთი თავით ზუსტად ვერ გადაგზავნა.

77-ე წუთზე ლევან კუხალეიშვილმა მეტალურგის საჯარიმოს ფარგლებს გარედან დაარტყა, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილს ბურთის ხელებში დაფიქსირება არ გასჭირვებია.

**გაგრა — კოლხეთი 1:2**
**თბილისი. მერანის სტადიონი.**
**§99 მაყურებელი**
***1:0 სიჭინავა (16), 1:1 გოგონაია (26), 1:2 ცხვიტარია (43)***

**გაგრა:** სეფიაშვილი, ხუციძე, ზ.ჩხეტიანი (მაგაჯი 68), გაბუნია, კალანდაძე, ნაკონეჩნი, ჯიშკარიანი (ქართველიშვილი 85), შარიქაძე, სიჭინავა (ჭკუასელი 46), ორდინსკი, კვანტალიანი

**კოლხეთი:** ნადირაშვილი, ცხვიტარია, ინწკირველი, ლომაშვილი, შავგულიძე, ლემონჯავა, გოგონაია, გვალია (ცხადაია 73), პ.დათუნაიშვილი (გულუა 87), ქებაძე, ჯანაშია (მდივნიშვილი 66)

გაგრამ ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ 3 მატჩი მოიგო და ტურნირს ლიდერობდა, მაგრამ ამ ყველაფერს ორი წაგება მიაყოლეს და მესამე ადგილამდე დაეშვნენ. კოლხეთმა კი პირველი გამარჯვება მიითვალა.

**ტორპედო — სიონი 2:0**
**ქუთაისი. ცენტრალური.**
**1.999 მაყურებელი**
***1:0 დათუნაიშვილი (21), 2:0 საბანაძე (43)***

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, ფარულავა, მეგრელაძე (გოცირიძე 87), ჩიკვილაძე, დოლიძე (იოსელიანი 71), საბანაძე

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | |
| არსენალი-სუონსი | 1:0 |
| ვულვზი-ტოტენჰემი | 0:2 |
| სიტი-უიგანი | 4:0 |
| ევერტონი-ასტონ ვილა | 2:2 |
| სტოკი-ლივერპული | 2:2 |
| ბოლტონი-მანჩესტერი | 0:5 |
| **ინგლისი. ჩემპიონლიგა** | |
| ბარნსლი-ლესტერი | 1:1 |
| ბარნლი-მიდლსბრო | 0:2 |
| ბელქპული-იფსვიჩი | 2:0 |
| ბრისტოლი-ბრაიტონი | 0:1 |
| ვესტ ჰემი-პორთსმუეთი | 4:2 |
| კარდიფი-დონკასტერი | 2:0 |
| ლიდსი-კრ.პალასი | 3:2 |
| პიტერბრო-ჰალი | 0:1 |
| რედინგი-უოტფორდი | 0:2 |
| საუთჰემპტონი-ნიტინგემი | 3:2 |
| ქოვენთრი-დერბი | 2:0 |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | |
| ვილიარეალი-სევილია | 2:2 |
| სოსიედადი-ბარსელონა | 2:2 |
| რეალი-ხეტაფე | 4:2 |
| ვალენსია-ატლეტიკო | 1:0 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| ალკორკონი-ვილიარეალი ბ | 1:1 |
| ალკოიანო-ხერესი | 0:1 |
| გვადალახარა-უესკა | 2:1 |
| კორდობა-ნუმანსია | 1:0 |
| მურსია-ალმერია | 0:2 |
| საბადელი-კარტახენა | 3:2 |
| **იტალია. სერია ა** | |
| ჩეზენა-ნაპოლი | 1:3 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| ალბინოლეფე-მოდენა | 2:1 |
| გროსეტო-ვერონა | 2:1 |
| გუბიო-რეჯინა | 1:3 |
| ნოჩერინა-ასკოლი | 0:1 |
| პესკარა-კროტონე | 2:0 |
| სასუოლო-ჩიტადელა | 2:0 |
| იუვე სტაბი-ბრეშა | 0:1 |
| ვარეზე-ლივორნო | 0:2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | |
| ბაიერნი-ფრაიბურგი | 7:0 |
| დორტმუნდი-ჰერტა | 1:2 |
| გლადბახი-კაიზერი | 1:0 |
| მაინცი-ჰოფენჰაიმი | 0:4 |
| შტუტგარტი-ჰანოვერი | 3:0 |
| ვერდერ-ჰამბურგი | 2:0 |
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-კარლსრუე | 4:2 |
| კოტბუსი-აინტრახტი | 3:3 |
| **საფრანგეთი. 1 ლიგა** | |
| აიაჩო-ვალანსიენი | 3:1 |
| ბორდო-ევიანი | 0:0 |
| დიჟონი-ლიონი | 1:2 |
| კაენი-ტულუზა | 0:1 |
| სენტ ეტიენი-ლილი | 1:3 |
| სოშო-ლორიენი | 1:1 |
| მარსელი-რენი | 0:1 |
| **საფრანგეთი. მე-2 ლიგა** | |
| კლერმონი-შატორუ | 2:1 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | |
| როდა-ტვენტე | 2:1 |
| ალკმაარი-ვიტესი | 4:0 |
| გრააფსხაპი-ნაიმეგენი | 1:0 |
| დენ ჰააგი-ვალვაიკი | 0:1 |
| ერაკლესი-აიაქსი | 2:3 |
| **პორტუგალია. ა ლიგა** | |
| ბენფიკა-გიმარაეში | 2:1 |
| ფერეირა-სპორტინგი | 2:3 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | |
| ცსკა-დინამო | 0:4 |
| ლოკომოტივი-ზენიტი | 4:2 |
| კრასნოდარი-რუბინი | 3:1 |

*კრასნოდარელთა მეორე გოლი ალექსანდრე ამისულაშვილმა გაიტანა*

| | |
|---|---|
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | |
| დანდი-რეინჯერსი | 0:1 |
| ინვერნეს-ჰართსი | 1:1 |
| კილმანროკი-დამფერმლაინი | 3:2 |
| სელტიკი-მოზერველი | 4:0 |
| სტ.მირენი-სტ.ჯონსონი | 0:0 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | |
| ინსბრუკი-რიდი | 0:5 |
| ადმირა-შტურმი | 4:2 |
| კაფენბერგი-ზალცბურგი | 1:3 |
| რაპიდი-მატერსბურგი | 1:1 |
| **ბელგია. პროლიგა** | |
| ლიერსი-ლოკერენი | 1:1 |
| ევერლე-მონსი | 3:1 |
| სერკლ-ბეერსხოტი | 2:1 |
| სტანდარდი-ვესტერლო | 1:0 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | |
| ლუცერნი-ციურიხი | 3:1 |
| სერვეტი-ბაზელი | 0:4 |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა** | |
| პანეთოლიკოსი-პანიონიოსი | 0:1 |
| ერგოტელისი-პაოკი | 2:1 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | |
| სამსუნი-გენჩლერი | 3:2 |
| ერჩიესი-ბეშიქთაში | 2:1 |
| ანკარაგიუჯიუ-მერსინი | 1:2 |
| მანისა-ტრაბზონი | 1:1 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | |
| ბოჰემიანსი 1905-სლოვაცკო | 1:1 |
| ბოლესლავი-ლიბერეცი | 1:4 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| ბელხატოვი-ვიძევი | 0:0 |
| კორონა-შლიონსკი | 2:1 |
| ლეგია-პოდბესკიჯიე | 1:2 |
| **უკრაინა. პრემიერლიგა** | |
| ვორსლკა-ჩერნომორეცი | 3:1 |
| ოლექსანდრია-კარპატი | 1:1 |
| მეტალისტი-არსენალი | 0:0 |
| **დანია. სასლიგა** | |
| ლუნგბიუ-კოპენჰაგენი | 0:1 |
| სილკებორგი-ოდენსე | 1:3 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| მილბი-ნორჩიოპინგი | 0:0 |
| **ნორვეგია. ელიტსერია** | |
| სტრომგოდსეტი-ვიკინგი | 2:2 |
| **აშშ. მლს** | |
| კოლამბუსი-ტორონტო | 2:4 |
| ნიუ იორკი-ვანკუვერი | 1:1 |
| ნიუ ინგლენდი-დალასი | 2:0 |
| ფილადელფია-პორტლენდი | 0:0 |
| სან ხოსე-ჩიკაგო | 0:3 |
| ჩივასი-ვაშინგტონი | 0:3 |
| **ბრაზილია. სერია ა** | |
| ამერიკა-ავაი | 2:2 |
| სანტოსი-კრუზეირო | 1:0 |
| **არგენტინა. აპერტურა** | |
| გოდოი-ოლ ბოიზი | 6:1 |
| ესტუდიანტესი-ტიგრე | 1:3 |
| რასინგი-ოლიმპო | 1:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| საქართველო-ფინეთი | 73:87 |
| სლოვენია-მაკედონია | 59:68 |
| რუსეთი-საბერძნეთი | 83:67 |

### ფრენბურთი

| | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| ბულგარეთი-სლოვაკეთი | 2:3 |
| რუსეთი-ესტონეთი | 3:0 |
| საფრანგეთი-ფინეთი | 3:1 |
| სლოვენია-ავსტრია | 3:0 |
| იტალია-ბელგია | 3:1 |
| პოლონეთი-გერმანია | 3:1 |
| ჩეხეთი-პორტუგალია | 3:2 |
| სერბეთი-თურქეთი | 3:0 |
| **საერთაშორისო ტურნირი** | |
| **ქალები** | |
| რუსეთი-სლოვაკეთი | 3:0 |
| პოლონეთი-ხორვატია | 3:2 |
| თურქეთი-გერმანია | 1:3 |
| სერბეთი-ესპანეთი | 3:0 |

### რაგბი

| | |
|---|---|
| **მსოფლიო თასი** | |
| ავსტრალია-იტალია | 32:6 |
| ირლანდია-აშშ | 22:10 |
| ს.აფრიკა-უელსი | 17:16 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ამერიკის ღია პირველობა** | |
| **კაცები** | |
| ჯოკოვიჩი-ფედერერი | 6:7;4:6;6:3;6:2;7:5 |
| ნადალი-მიურეი | 6:4;6:3;3:6;6:2 |
| **ქალები** | |
| კერბერი-სტოსური | 3:6;6:2;2:6 |
| უილიამსი ს.-ვოზნიაცკი | 6:2;6:4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ისრაელი ეგვიპტესთან დადებულ ყველა შეთანხმებას შეასრულებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ კაიროში, ისრაელის საელჩოზე თავდასხმის მიუხედავად, ისრაელის მთავრობა ეგვიპტესთან დადებულ ყველა შეთანხმებას მტკიცედ შეასრულებს.

ისრაელის საელჩოს დარბევის შემდეგ ეგვიპტის გარდამავალი, სამხედრო ხელისუფლები ყველა დიპლომატიურ წარმომადგენლობას დაცვას დაჰპირდა.

ისრაელის დიპლომატიურ მისიაზე თავდამსხმელებს სახელმწიფო უშიშროების საგანგებო სასამართლოს გადასცემენ.

შაბათს ღამით ცალკეულ პირთა ჯგუფი, რომლის წევრებიც ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ, კაიროში ისრაელის საელჩოში შეიჭრნენ. მისიის რამდენიმე თანამშრომელი, სანამ მათ ისრაელის სპეცრაზმი მიეშველებოდა, საელჩოს შენობაში ჩაიკეტა.

ამის შემდეგ ისრაელმა საელჩოს თითქმის ყველა თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები გაიწვია, ელჩის, იცჰაკ ლევანონის ჩათვლით.

ნეთანიაჰუმ დიპლომატიური პერსონალის ევაკუაციაში გაწეული დახმარებისათვის აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას მადლობა გადაუხადა, თუმცა დახმარების ხასიათის შესახებ არაფერი უთქვამს.

ნეთანიაჰუს თქმით, ობამა მას ყოველნაირ დახმარებას შეჰპირდა და სიტყვა შეასრულა, სრულად გამოიყენა აშშ-ის ზეგავლენა ეგვიპტეზე.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც ისრაელი, ასევე ეგვიპტე ვაშინგტონის წამყვანი პარტნიორები და მოკავშირეები არიან.

აშშ-ის დიპლომატიურმა უწყებამ ამ თავდასხმასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა.

გარდა ამისა, კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

ეგვიპტე ორიდან ერთ-ერთი არაბული ქვეყანაა, რომელსაც ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა გააჩნია. ეს ურთიერთობა 1979 წელს დამყარდა კემპ-დევიდის შეთანხმების დადების შემდეგ, რისი შუამავალიც აშშ იყო.



ეს შეთანხმება ეგვიპტეში პოპულარობით არ სარგებლობს, რის დასტურსაც საელჩოზე თავდასხმა წარმოადგენს.

არეულობის მიზეზად იქცა აგვისტოს ბოლოს, ღაზას სექტორში დაწყებული სამხედრო ოპერაცია, რის შედეგადაც ხუთი ეგვიპტელი პოლიციელი დაიღუპა.

ეგვიპტის დედაქალაქში პარასკევის ლოცვის შემდეგ ხალხი ისრაელის საელჩოსკენ დაიძრა, ბარიერი გაანგრია და შიგნით შეიჭრა.

ისრაელის ოფიციალური პირების განცხადებით, თავდამსხმელებმა მხოლოდ საკონსულო სამსახურის სათავსოში შეაღწიეს.

პოლიცია თავდაპირველად საქმეში არ ჩარეულა, მაგრამ შემდეგ ბრბოს ცრემლსადენი გაზით გაფანტვა რომ სცადა, პოლიციელებს ბენზინით სავსე ბოთლები დაუშინეს.

არეულობის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა. ერთ-ერთი მათგანი კლინიკაში, გულის შეტევით.

ეგვიპტის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაშავდა 1000-ზე მეტი ადამიანი.

მიმომხილველების თქმით, ამ მოვლენებმა ეგვიპტე შეძრა. მით უმეტეს, რომ ყველას ესმოდა, მსგავსი რამ ვერ მოხდებოდა ჰოსნი მუბარაქის მმართველობის დროს, რომელიც მასობრივი გამოსვლების შემდეგ მიმდინარე წლის მარტში გადადგა.

ეგვიპტის ტელევიზიის თანახმად, პრემიერ-მინისტრმა ესამ შარაფმა გადადგომა დააპირა, მაგრამ ქვეყნის დროებითმა უზენაესმა მმართველმა, ფელდმარშალმა ტანტავიმ მისი გადადგომის პატაკი არ მიიღო.

ამჟამად ეგვიპტეში რჩება ისრაელის კონსული, რომელიც ელჩის მოვალეობებს ასრულებს.

# სომხეთის ოპოზიცია ვადამდე არჩევნების გამართვას მოითხოვს

ერევანში გაიმართა სომხეთის ეროვნული კონგრესის მიერ ორგანიზებული ხალხმრავალი მიტინგი. ამ ორგანიზაციას ყოფილი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი ხელმძღვანელობს.

სომხეთის ეროვნული კონგრესი 15-მდე ოპოზიციურ პარტიას აერთიანებს. ერთ-ერთი მათგანის ხელმძღვანელის, არამ მანუკიანის თქმით, აქციის დღის წესრიგი წინა შეხვედრის დროს განისაზღვრა — აპირებს თუ არა ხელისუფლება დააკმაყოფილოს ოპოზიციის მოთხოვნა ვადადმე არჩევნების გამართვის შესახებ.

აქციის მონაწილენი პრეზიდენტ სერჟ სარქისიანის გადადგომას მოითხოვნენ. გავრცელებული ცნობების თანახმად, მიტინგში 10 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. პოლიცია მოვლენებში არ ერეოდა.

ერთი თვის წინ ეროვნული კონგრესის მიტინგზე ტრადიციული საპროგრამო სიტყვით გამოსულმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა განაცხადა, რომ სამთავრობო კოალიციასა და კონგრესს შორის დაწყებული მოლაპარაკება შედეგს არ გამოიღებს და ხელისუფლები ვადამდე არჩევნების მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, ეროვნულ კონგრესს ტაქტიკის შეცვლა მოუწევს.

მოლაპარაკებების დროს კონგრესმა წარმოადგინა 87-გვერდიანი დოკუმენტი, სადაც ვადამდე არჩევნების გამართვის აუცილებლობა იყო დასაბუთებული.

ტერ-პეტროსიანის თქმით, ოპოზიციამ კონკრეტული მოთხოვნები წამოაყენა და მათი დაკმაყოფილება სურს.

თავის მხრივ, კოალიციის დელეგაციამ მოლაპარაკებებზე წარმოადგინა 180-გვერდიანი პაკეტი, სადაც ვადამდელი არჩევნების გამართვის აუცილებლობის არარსებობა იყო დასაბუთებული. დოკუმენტის განხილვა ვერ მოესწრო, რადგან ოპოზიციამ მოლაპარაკებების შეწყვეტის შესახებ განცხადება გაავრცელა.

მოლაპარაკებების შეწყვეტის მიზეზად იქცა სომხეთის ეროვნული კონგრესის ახალგაზრდული ფრთის შვიდი წარმომადგენლის დაპატიმრება,



რომლებიც ხულიგნობის და ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ძალადობის ბრალდებების გამო დააკავეს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების თქმით, ახალგაზრდებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და თავს დაესხნენ პოლიციის საპატრულო სამსახურის, ე.წ. „წითელი ბერეტების“ თანამშრომლებს, რომლებმაც შენიშვნა მისცეს მოქალაქეს ძაღლის ალიკაპის გარეშე გასეირნების გამო.

პოლიციის უფროსის, ალიკ სარქისიანის თქმით, მიუხედავად აგრესიული ყოფაქცევისა, პოლიციელებს მათთვის ხელი არ უხლიათ და დაკავება კანონის ფარგლებში განახორციელეს.

დაკავებულთა ადვოკატების თქმით, მოქალაქის გამოქომაგების გამო ოპოზიციის ახალგაზრდა წარმომადგენლები პოლიციელებმა წააქციეს, ხელბორკილები გაუკეთეს და ცემა დაუწყეს.

მოგვიანებით დაკავებულები, ტიგრან არაქელიანის გარდა, გაათავისუფლეს.

კონგრესი დაკავებულ ახალგაზრდას პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევს და ქვეყანაში პოლიტპატიმრების არსებობის პირობებში მოლაპარაკების გაგრძელება შეუძლებლად მიაჩნია.

თავის გამოსვლაში ლევონ ტერ-პეტროსიანმა დაადასტურა, რომ ახალგაზრდის გათავისუფლების შემთხვევაში მოლაპარაკებების განახლება შესაძლებლად მიაჩნია.

წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნა მან, ეროვნული კონგრესი „სხვა ენაზე“ ალაპარაკდება.

ტერ-პეტროსიანმა იქვე დაადასტურა, რომ „სხვა ენა“ არ ნიშნავს რევოლუციას ან ბუნტს, არამედ ხშირ მიტინგებს, ხალხთა მასების გაერთიანებას, რიგგარეშე საპარლამენტო და პრეზიდენტის არჩევნების გამართვის იძულებას მოსახლეობის ზემობილიზაციის გზით. ოპოზიციის მიტინგი ერევნის ქუჩებში მასობრივი მსვლელობით დასრულდა.

# ტანზანიაში ბორანი ჩაიძირა

ტანზანიის სანაპიროსთან, ზანზიბარის არქიპელაგთან ჩაიძირა ბორანი, რომელსაც 500-ზე მეტი მგზავრი გადაჰყავდა.

სამაშველო სამსახურების მონაცემებით, წყლიდან 163 გვამი ამოასვენეს, 325 მგზავრის გადარჩენა მოხერხდა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვის დადგენა ვერ ხერხდება, რადგან ბორანზე მყოფი მგზავრების რიცხვი ცნობილი არ არის. ბორანი გადატვირთული იყო.

როგორც პოლიცია ვარაუდობს, უბედური შემთხვევა შესაძლოა, გამოიწვია როგორც უსაფრთხოების წესების დარღვევამ, ასევე უამინდობამ.

ბორანი „სფაის აილენდერი“ ზანზიბარის მთავარ კუნძულ, უნგუჯასა და მეორე კუნძულ, პემბას შორის რეგულარულ რეისებს ასრულებდა. ორივე კუნძული ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს განეკუთვნება.



ბორანმა უნგუჯუ ადგილობრივი დროით საღამოს 9 საათისათვის დატოვა და ღამის პირველ საათზე ჩაიძირა.

ერთ-ერთი გადარჩენილის, აბდულა საიდის თქმით, მრავალმა მგზავრმა ბორანზე ასვლისაგან თავი შეიკავა, რადგან იგი აშკარად გადატვირთული იყო.

მგზავრები მუსლიმანთა წმინდა თვის, რამადანის დასრულების შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ. მგზავრებს შორის მრავლად იყვნენ ბავშვები.

მიმომხილველების თქმით, შემთხვევის ადგილის ახლოს ზღვა ნაპირზე დაღუპულთა გვამებს რიყავს. ადგილობრივი ხელისუფლები სამაშველო სამუშაოებს ვერ აუდიან. მეზობელ ქვეყნებს მათ ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში დახმარების თხოვნით მიმართეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# კროსვორდი



1. სახელმწიფო აფრიკაში, 2. ინგლისური ლუდი; 3. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე. 4. ქართული ჟურნალი; 5. ქურციკი; 6. მუშაობისა და ენერგიის საზომი ერთეული; 7. უქორწრო თუთიყუში; 8. ყაიმი; 9. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 10. ქვევრის მსგავსი დიდი ქილა; 11. კუნძულები წყნარ ოკეანეში; 12. კატის ხმიანობა; 13. საენათმეცნიერო ტრანსკრიფციაში ხმარებული კლაკნილი ხაზი; 14. სარძევე ჯირკვლების ანთება; 15. ბანქოს ერთგვარი თამაში; 16. ამოჩუქურთმებული ქვა და ნიჟარა; 17. სულხან-...ორბელიანი; 18. სახუმარო შინაარსის საესტრადო პიესა; 19. მაჭანკალი „ქეთო და კოტედან“; 20. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 21. დგომის უნარის დაკარგვა; 22. ქაღალდის ჰიგიენური ხელსახოცი; 23. კლოდ...; 24. ...გიბსონი; 25. გიტარის კორპუსის ნაწილი; 26. მუსიკალური ნაწარმოები ერთი შემსრულებლისთვის; 27. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 28. ძველფრანგული ხურდა ფული; 29. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა; 30. ტაბლეტი; 31. ასო „ლ“-ს სახელწოდება; 32. კოლხი მედეას მამა; 33. ძველებური ფრანგული ფარჩა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ჯაკო“; 2. ერი; 3. ბეატრიქსი; 4. კამიუ; 5. სანახშო; 8. „ლეგო“; 9. კატორღა; 10. „კიმიგაიო“; 12. ლუხუნი; 13. „ავაზა“; 15. „სვანი“.

**თარაზულად:** 1. ჯორჯაძე; 6. სერენადა; 7. კოლიე; 10. კიტია; 11. „აგუნა“; 13. ატომი; 14. კასიო; 16. „უშბა“; 17. იორდანე; 18. ჩხეიძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუში; 2. ონი; 3. ხოზაფინი; 4. სი; 5. კომერცია; 6. პაბი; 7. „ზინგერი“; 10. ბუტი; 11. კორონაცია; 12. კამერონი; 13. თუნი; 16. „ხორუმი“; 18. ფოლორცი; 19. ლიახვი; 21. „სანტე“; 24. კოპრა.

**თარაზულად:** 1. სანახშო; 3. ხუცესი; 8. „სოკარი“; 9. შობა; 14. ატილა; 15. შულერი“; 17. მილი; 20. ნუნისი; 22. იტონი; 23. იგრეკი; 25. ოდა; 26. უშბა; 27. სოია; 28. პედიატრია.

კულტურა

# „მთაწმინდის პარკში“ მეგობრობის დღეა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მინდის პარკის ამფითეატრში წარმოდგენა, ხატვის კონკურსი, „ბზიკები სტუდიოს“ საბავშვო კონცერტი, „ალილოს“ კონცერტი და მხიარული გათამაშება გაიმართება.

„მთაწმინდის პარკმა“ მომხმარებელს აგვისტოს თვეში უკვე შესთავაზა გრანდიოზული 50%-იანი ფასდაკლება. მრავალფეროვანი პროგრამებითა და სახალისო აქციებით გამორჩეულმა პარკმა მომხმარებლებს ახალი აქცია „მხიარული საათი“ შესთავაზა, რომლის ფარგლებშიც სტუმრები დღეში ორჯერ საშუალება მიეცათ ატრაქციონებზე 50%-იანი ფასდაკლებით ესარგებლათ.

მთაწმინდის პარკმა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების პირველ ფესტივალსაც „მთაწმინდის ჰანგები“ უმასპინძლა, რომელიც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა. ფესტივალი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა.

ფესტივალის მიზანია მომავალ თაობაში ხალხური ხელოვნების მიმართ სიყვარულის გაღვივება, ბავშვთა ტრადიციული ფოლკლორული ნიმუშების მოძიება, მათი აღდგენა, გაცოცხლება, ხალხური შემოქმედების უკვდავ ნიმუშებთან ბავშვების ზიარება, ბავშვთა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის საუკეთესო ანსამბლების წარმოჩენა და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია, ხალხური მუსიკალური ნიმუშების კუთხური კილოკავისა და საშემსრულებლო მანერის შენარჩუნება, ხალხური საშემსრულებლო ფორმების დაცვა, მხოლოდ ტრადიციული (დიატონური) ხალხური საკრავების გამოყენება. ფესტივალს აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადა დედაქალაქის მერიამ.

ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს მასშტაბით ბავშვთა ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნორჩი ოსტატები. ფესტივალის მონაწილეთა ასაკი 5-დან 18 წლამდე განისაზღვრა. ფესტივალის გახსნაზე მოეწყო საზეიმო მსვლელობა, ფესტივალის დახურვაზე კი გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი შედგა, რომელზეც ღონისძიების მონაწილეები სიგელებითა და მადლობის ფურცლებით დაჯილდოვდნენ.

სპორტი

# დინამოს მშველელი ისევ ესპანელია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

(დ.კირკიტაძე 83), კუხიანიძე, დილმელაშვილი, გამეზარდაშვილი, გ.დათუნაიშვილი.

**სიონი:** ზუხბაია, გ.ოქროპირიძე, დ.სვანიძე (ქუცურუა 77), თარგამაძე, ლ.ჩხეტიანი, კობაური, გაბრიჭიძე, ვ.ბოლქვაძე, ისიანი (უგულავა 46), უგრეხელიძე (კობერიძე 46), მ.ოქროპირიძე.

### დილა — დინამო 1:2

**გორი. თენგიზ ბურჯანა ის სახელობის სტადიონი. 1.599 მაყურებელი**

***0:1 ლექვთაძე (29), 1:1 პ.ხორგუაშვილი (90), 1:2 ალვარო (90)***

**დილა:** მერლანი, გველესიანი, ბაქრაძე, ლომიძე, ქარქუზაშვილი, ვ.ხორგუაშვილი (ნემსაძე 61), ჯოჯუა, პ.ხორგუაშვილი, გოგინაშვილი (სადალაშვილი 51), რაჟამაშვილი, დ.ჩაგელიშვილი (ახალკაცი 79)

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე, თომაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი (ჰომოლა 46), კვეკვესკირი, თექთურმანიძე (ალვარო 62), კოშკაძე, კოტო, ლექვთაძე, ჩისკო (იაგუე 73)

მატჩში ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. თითქოს დინამოს მშვიდი გამარჯვება უნდა მიეთავალა, მაგრამ...

საწყის წუთებში თექთურმანიძეს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მის დარტყმულს მერლანი დაეუფლა. მერე ჩისკომ და კოტომ იაქტიურეს, მაგრამ მათი მცდელობაც უშედეგო გამოდგა. 29-ე წუთზე, ირაკლი ლექვთაძის ინდივიდუალურმა გარღვევამ შედეგი გამოილო და სტუმრები დაწინაურდნენ — 0:1.

გოლმა გორელები ცოტათი გააააქტიურა, რასაც დინამოს კარში რამდენიმე სახიფათო დარტყმა მოჰყვა. ჯერ, ვალტერ ხორგუაშვილი თავით ახლო მანძილიდან დაემუქრა ლორიას სამფლობელოს, მაგრამ ოდნავ ააცილა. მერე ტყუპისცალის პავლეს შეუქმნა პრობლემა თბილისელთა მეკარეს, მაგრამ ლორიამ წამით ადრე შეძლო თავის სიტუაცია განმუხტვა.

მეორე ტაიმი ორმხრივ შეტევებში წარიმართა, მაგრამ ხიფათი არც ერთ კართან არ იქმნებოდა. ტრილერის მსგავსი მოვლენები ბოლოს განვითარდა.

ფიფას არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ, მატჩის ძირითად დროს 4 წუთი დაამატა და პირველ წუთზე, ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს პავლე ხორგუაშვილმა ახლო მანძილიდან დაჰკრა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

დინამო გადამწყვეტ შტურმზე გადავიდა და ჯერ კოშკაძემ ვერ გამოიყენა მეკარესთან პირისპირ გასვლა და მხოლოდ კუთხურს გამორჩა, რასაც უკვე გოლი მოჰყვა — დინამოელთა კაპიტნის მოწოდებულ კუთხურს თავი მიკელ ალვარომ დაჰკრა და დინამო გაალიდერა.

### ზესტაფონი — მეჩანი 3:1

**ზესტაფონი. დავით აბაში ს სახელობის სტადიონი**

***1:0 შოთა გრიგალაშვილი (31), 2:0 დვალი (44), 2:1 ამბროლაძე (58), 3:1 წინამძღვრიშვილი (71)***

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ალადაშვილი (ბენაშვილი 64), გ.ონიანი, მ.კობახიძე, გაგოშიძე, ძარია (ფიფია 74), გორგიაშვილი, შ.გრიგალაშვილი, აფციაური (სარდალიშვილი 60), დვალი, წინამძღვრიშვილი

**მერანი:** შეროზია, კაკუშაძე, გ.ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, ე.გრიგალაშვილი (ტორაძე 88), დიდავა, მემარნიშვილი (წოწორია 75), ამბროლაძე, ჩალაძე, ტაპე (სამადაშვილი 79)

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| 2.ბაია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| 3.გაგრა | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| 4.ზესტაფონი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| 5.მეტალურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| 6.მერანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| 7.ტორპედო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| 8.კოლხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| 9.ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| 10.დილა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| 11.სპარტაკი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| 12.სიონი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |

### ბომბარდირები:

შალვა კვანტალიანი (გაგრა), ჩისკო (დინამო) 3-3

# გია გვაზავა: „საქართველო აფხაზეთის აღიარებას არ აპირებს“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

საკმაოდ დიდი კონფლიქტი ჰქონდა რუსულ გენერალიტეტთან.

***— რუსულ გენერალიტეტთან შამბას კონფლიქტი რასთან დაკავშირებით ჰქონდა?***

— არის ასეთი დასასვენებელი სახლი „სოხუმი“. იმ სახლთან დაკავშირებით შამბამ ერთი რუსი გენერალი გააგდო კაბინეტიდან. ამას იმახსოვრებენ რუსი გენერლები. ამ ფაქტმა, გარკვეულწილად, შამბას საწინააღმდეგოდ იმუშავა და დიდი როლი ითამაშა მის დამარცხებაში. ისე, სინამდვილეში, აფხაზურმა საზოგადოებამ ასევე დიდი როლი ითამაშა ანქვაბის არჩევაში. აფხაზი საზოგადოება ძლიერ ხელს ითხოვს. ამისთანა ადამიანი ანქვაბი უფრო არის.

***— წინასაარჩევნო პერიოდში ითქვა, თითქოს ანქვაბს უფრო მეომრები უჭერდნენ მხარს.***

— თვითონ არჩევნებმაც აჩვენა, რომ ანქვაბს აფხაზი საზოგადოების უმეტესობა მხარს უჭერს იმიტომ, რომ ის შეეცდება წესრიგი დაამყაროს. წესრიგის დასამყარებლად ის მკაცრ ზომებს გაატარებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოება ხვდება, რომ თუკი არ მოვა მკვეთრი ნაბიჯების გადამდგმელი ლიდერი და არ მოერევა კორუფციას, აფხაზეთი ჩაიძირება თავის კორუფციაში, თავის უმსგავსობაში. თვითონ რუსი ტურისტებიც კი არ ჩადიან უკვე აფხაზეთში, იმ დონის კორუფციაა. ისეთი მიდგომაა ჩასული ტურისტებისადმი, რომ რუსებიც წერენ ძალიან შემაშფოთებელ წერილებს. გარდა ამისა, აფხაზეთიდან რუსი მოსახლეობა გარეთაა გაყრილი — 10 ათასამდე კაცია იქიდან გაძევებული. რუსებს ესეც არ მოსწონთ. ანქვაბი ჰპირდება წესრიგის დამყარებას. ამიტომ აირჩიეს ანქვაბი.

***— ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, ე.წ. არჩევნების წინ კიტოვანის განცხადებას და თქვენც გააკეთეთ, გამოეხმაურეთ...***

— დიახ, რამდენიმე განცხადება გავაკეთე. პირადად მე ტელევიზიითაც და რადიოთიც ვისაუბრე, რომ ნათელია კიტოვანი ვინც არის.

***— ეს ირიბი პროპაგანდა ხომ იყო იმისა, რომ თუ აფხაზ საზოგადოებას რუსეთი არ უნდა, ანქვაბი უნდა აერჩია?***

— ძნელი სათქმელია, რას ფიქრობდა კიტოვანი და რა დავალება მისცეს, მაგრამ ის, რომ აფხაზურმა საზოგადობამ იცის, ვინ ვისთან თანამშრომლობს, ამაში ორი აზრი არ არსებობს. შეიძლება პირიქითაც იმუშავა იმ განცხადებამ და ვერ დაეხმარა შამბას. ის ადამიანები, ვინც უყურებდნენ ანქვაბის ცხოვრებას, იციან, რომ ის იმისთანა სისულელეებში არ გაებმებოდა, რაც კიტოვანმა თქვა.

***— კრემლის პოზიცია გასაგებია, მაგრამ ქართულ მხარესთან, საქართველოს ხელისუფლებასთან კავშირების თვალსაზრისით, ანქვაბი როგორი პიროვნებაა?***

— ანქვაბი არის პრაგმატული პიროვნება. ალბათ, ამის საშუალებას მისცემენ. თუ კრემლი გადაწყვეტს, მაშინ, ალბათ, ის გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს. ის მზადაა ყველა მხარეს ელაპარაკოს. მისი მთავარი დანიშნულება ისაა, რომ ის შეეცდება თავისი ეთნოსი ევროპისკენ წაიყვანოს, რაც მან თქვა კიდეც — სხვა კაპიტალი უნდა შემოვიდეს უძრავი ქონების შესაძენად აფხაზეთშიო. რა თქმა უნდა, მას ბევრის საშუალებას არ მისცემენ. საერთოდ, მას წესრიგის დამყარება შეუძლია. ანქვაბს ეს ხასიათში აქვს.




***— ბატონო გია, ოფიციალურმა დასავლეთმა თქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება მეტად უნდა ცდილობდეს თავისი სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელობასთან ურთიერთობების დამყარებას. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?***

— საქართველოს ხელისუფლება ძალიან აქტიურად მუშაობს ამ კუთხით, ძალიან აქტიურ ნაბიჯებს დგამს. ამისთვის სრული მზადყოფნა არსებობს. ძალიან კარგად მუშაობდა სამედიცინო თემა, კულტურის თემა, ეკონომიკის თემა და ახლაც მუშაობს. გამოვყოფდი მედიცინის თემას. ათეულობით აფხაზი გადმოდის და ოპერაციებს იკეთებს, მკურნალობს ჩვენ მხარეს. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. ვნახოთ, როგორი შედეგი იქნება. კავშირურთიერთობები მაინც დამოკიდებულია რუსეთის პოზიციაზე, როგორ გაამწვავებს ურთიერთობებს. აფხაზეთი დახურული სივრცეა, ზოგჯერ რუსები მკაცრ ნაბიჯებს დგამენ, ხალხს ეწინააღმდეგებიან და აქეთ არ უშვებენ. ხალხი მაინც გადმოდის, კონტაქტი მაინც არის და, ვფიქრობ, თანდათან რაღაც შეიცვლება.

***— თქვენ თუ გაქვთ კავშირები?***

— ჩვენც გვაქვს ასეთი კავშირები. ჩვენი გავლით ხდება კავშირების დამყარება — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით.

***— ცოტა ხნის წინ, დასავლეთის რეკომენდაციით დაიწყეს მუშაობა ფორმულით: „ჩართულობა აღიარების გარეშე“, რომელიც მიზნად ისახავდა სეპარატისტული რეგიონების ევროპულ სივრცეში ინტეგრირებას. როგორც მახსოვს, რუსეთი შეეცადა ამის სათავისოდ გამოყენებას — საქართველოს გვერდის ავლით სეპარატისტი ლიდერები ევროპული სტრუქტურების ლიდერებს შეახვედრა. როცა ანქვაბი ევროპაში გასვლაზე ლაპარაკობს, ეს ხაზი იგულისხმება?***

— რა თქმა უნდა, უნდა გულისხმობდეს „ჩართულობას აღიარების გარეშე“, რომელიც ძირითადად არის პროგრამა. საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგია დამყარებულია ამ პროგრამაზე. ვნახოთ, რა იქნება მომავალში. ვფიქრობ, ეს პროცესი თანდათან იკრებს ძალას. რუსები, რა თქმა უნდა, ამას ეწინააღმდეგებიან. ისინი ცდილობენ ეს პროცესი შეაფერხონ — აფხაზეთში ექიმები ჩამოიყვანეს, გზები გადაკეტეს. ამასთან დაკავშირებით მთელი ამბები იყო, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სამედიცინო-კულტურულმა პროგრამამ ძალიან კარგად იმუშავა. ამის გამო რუსეთი ძალიან იყო შეშფოთებული — ქართველები აფხაზებს ხვდებიანო. გარდა იმისა, რომ ჩვენები მართლაც მაღალ დონეზე ხვდებიან აფხაზეთიდან გადმოსულ ადამიანებს, გულთბილ დამოკიდებულებას ხედავენ, ნათესავებს ხვდებიან. საავადმყოფოში რომ არიან, ყურადღება სხვანაირია. ისინი ამას იმახსოვრებენ და, გარკვეულწილად, ეს ძალიან დადებით ურთიერთობებს აყალიბებს.

***— ცოტა ხნის წინ, „ნიუ იორკ ტაიმში“ ორი ამერიკელი პროფესორის წერილი გამოქვეყნდა, სადაც ისინი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებელ წევრად ქცევაზე საუბრობდნენ. ასეთ შემთხვევაში თქვენი დამოკიდებულება როგორი იქნება?***

— ყველა ადამიანს თავისი შეხედულება აქვს. შეიძლება იმ პროფესორებს ასეთი შეხედულება აქვთ, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება, ღვთის წყალობით, ჯერჯერობით, ძალიან კარგად ხედავს, რა პრობლემასთან აქვს საქმე და, იციან, რომ ამის გაკეთება არანაირად არ შეიძლება.

***— ამერიკელი პროფესორების წერილს ყურადღება იმიტომ მივაქციე, რომ სტატიაში ისინი ამერიკის ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევდნენ „აღიარების გარეშე ამ რეგიონების ჩართულობაზე“ და ამ გზით, სეპარატისტული რეგიონების, როგორც ომის საფრთხის შემცველი უკონტროლო სუბიექტიდან საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებელ წევრად ქცევაზე.***

— ათასნაირი აზრია. ზოგიერთი ჩვენი თანამემამულეც ლაპარაკობს, ვცნოთო. ასეთებიც არიან.

***— ცნობა, მე მგონი, ყველანაირად გამორიცხულია?***

— რა თქმა უნდა, როგორ შეიძლება ამაზე ფიქრიც კი.

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე მარინა ნაპირელი, შვილები ვახო და ნონა ბურდიაშვილები, რძალი ნინო იარაჯული, შვილიშვილი მარიამი დიდ მწუხარებას გამოთქვამენ

**ვაჟა ბურდიაშვილის**

უდროოდ გარდაცვალების გამო.

როგორ მიგვატოვე საყვარელო ვაჟა, გული ატკინე შენს ოჯახს და დიდ სანათესაოს, ნათელში იყოს შენი კეთილი სული.

კორნელი, ნანა, მარიამ შუკაკიძეები, მარიამ ბრეგვაძე, გიორგი კაპანაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ვაჟა ბურდიაშვილის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 12 სექტემბერი**

**07.30** დოკ. ფილმი "სამყარო" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.30** სათავგად. ფილმი **"დათვი სახელად ვინი"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართ. ფილმი **"წკიპურტები"** **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **17.30** სილამაზის ფორმულა **18.00** მედ-ინფო **18.50** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მე-**2** ჯგუფური ეტაპი. საქართველო- საბერძნეთი **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **23.45** საფეხბურთო მიმოხილვა **00.50** მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"** (**12**) (ტ. კრუზი) **03.30** მოამბე **03.50** ცხოვრება მშვენიერია **04.40** საფეხბურთო მიმოხილვა

**08.00** დოკ. ფილმი "ბარბი" **09.00** ან. ფილმი "ფილმი ფუტკარზე" **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი "სამყარო" **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** სპექტაკლი **"ჭინჭრაქა"** **14.45, 17.45, 23.30** ბრიფინგის დროით **16.00, 19.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **20.00** დოკ. ფილმი **20.30** **ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **22.30** თავისუფალი ტრიბუნა **00.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.30** მხ. ფილმი **"თანამონაწილე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ.**"სახლი მეზობლად"** **22.00** მელომანია **23.30** შუა დღე **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ბარბი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **09.15** ან ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. **"ჰანა მონტანა"** **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.50** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.15** მხ. ფილმი **"სახიფათო დავალება"** (კ. როკი) (სუბტ.) **03.35** მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (**15**) (სუბტ.)

**08.00** არხის პროფილაქტიკა **17.00**-მდე **17.00** ტვ-მარკეტი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადრონე"** **10.30** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **12.50, 19.35** სერ.**"შექსპირიადა"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი **"იყო შაშვი მგალობელი"** **12.30** კონცერტი – ელისო ვირსალაძე **15.25** სპექტაკლი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **16.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.15** **100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ჩიორა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საქართველოს პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში **22.20** დოკ. ფილმი "სამთავროს რესტავრაცია" **22.40** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "მაცხოვარი ლატალისა" **00.30** განთიადის სტუმარი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო "ინფოზონის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**12 სექტემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,641 | ევრო — 2,3815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208 | რუსული რუბლი — 0,057 |

## ამინდის პროგნოზი 12 სექტემბრისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-26, ღამით — 19-13

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 19-15

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 2-11




# დიანა ღურწკაია შველას ითხოვს

ეკა ირემაშვილი

**რუსული გამოცემა „კამსამოლსკაია პრავდას“ ცნობით, რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი დიანა ღურწკაია რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა „მეგობრობის ორდენით“ დააჯილდოვა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ქართველი მომღერალი რუსეთის პრეზიდენტის მიერ პრესტიჟულ ჯილდოს იღებს. დიანა ღურწკაია „მეგობრობის ჯილდოს“ მფლობელი უკვე მეორედ გახდა. მასთან ერთად დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე სხვა გამოჩენილი რუსებიც დასაჩუქრდნენ.**



33 წლის მომღერალმა, რომელიც რუსეთის დამსახურებული არტისტია, ეს ჯილდო მიიღო არა როგორც მომღერალმა, არამედ როგორც უსინათლოების დახმარების საქველმოქმედო ფონდის „გულის ძახილი“ ხელმძღვანელმა. რუსეთის პრეზიდენტმა დიანა ღურწკაია თბილი სიტყვებით შეამკო და ყველას ქველმოქმედებისკენ მოუწოდა.

— ჩემთვის ეს ჯილდო ძალიან დიდი პატივია. ეს მომენტი ჩემს ცხოვრებაში გაცილებით უფრო ამაღელვებელი იყო, ვიდრე სცენაზე გამოსვლა და სიმღერის შესრულება, — განაცხადა დიანა ღურწკაიამ თავის სამადლობელ სიტყვაში.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ღვინის ჭიქით ხელში მიუახლოვდა მომღერალთან, რომ მისთვის კიდევ ერთხელ მიელოცა ეს დიდი წარმატება, თუმცა „კამსომოლსკაია პრავდას“ ცნობით, ნერვიულობისგან ქართველ მომღერალს ხელები აუკანკალდა და ღვინო მედვედევს ხელზე გადაესხა, რამაც რუსეთის პრეზიდენტის ღიმილი გამოიწვია. უხერხული სიტუაცია კი დაჯილდოების ცერემონიალზე მყოფმა მომღერლის მეუღლემ სწრაფად გამოასწორა.

როდესაც რუსმა ჟურნალისტებმა დიანას ეს საპატიო ჯილდო მოულოცეს, მომღერალმა დახმარება ითხოვა. უფრო სწორად, მან საზოგადოებას მოუწოდა, დაეხმარონ ორ პატარა ბავშვს, რომლებსაც მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ და მათ მშობლებს ბავშვების სამკურნალოდ სახსრები არ გააჩნიათ.

— ჩემს ჯილდოზე გაცილებით მნიშვნელოვანი ახლა ორი პატარა ბავშვის დახმარებაა, რომლებსაც ექიმები გამოჯანმრთელებას უწინასწარმეტყველებენ. მათ მოსკოვში ჩამოსასვლელი ბილეთების ფული და საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ. იქნებ ვინმე გამოჩნდეს ღვთისნიერი, ვინც ამ პატარების ტკივილს გაიზიარებს და მათ სამგზავრო და საცხოვრებელი ფულით უზრუნველყოფს?! ჯერ კიდევ იმედი მაქვს, რომ ამქვეყნად კეთილი ადამიანები არსებობენ, — განუცხადა რუს ჟურნალისტს ქართველმა მომღერალმა.

# სოხუმი საწვრთნელ შეკრებას ლიტვასა და ლატვიაში გამართავს

საკალათბურთო კლუბი „სოხუმი“ ევროჩელენჯის მატჩების მზადებას საფუძვლიანად შეუდგა. გუნდი 10 სექტემბერს თბილისიდან რიგაში გაფრინდა, რიგიდან კი ავტობუსით კლაიპედაში ჩავა. რიგაში გუნდს



შეუერთდება გუნდის მთავარი მწვრთნელი აინარს ბაგატსკისი, რომელიც ამავდროულად ევროპის ჩემპიონატში მონაწილე ლატვიის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელია. კლაიპედაში სოხუმს სპარინგ-მატჩები შემდეგ კლუბებთან აქვს დაგეგმილი: ტრიუმფ (ლუბერცი), იუნიქს (ყაზანი) და სოპოტ (პოლონეთი). 4 დღის შემდეგ სოხუმი ლიტვადან ლატვიაში გადავა და კიდევ 4 სპარინგ-მატჩს ჩაატარებს, რომელთაგან ორი ცნობილია — ვეფ (რიგა) და სევერსტალი (ჩერეპოვეც).

სოხუმის შემადგენლობაშია 5 ამერიკელი ლეგიონერი და 6 ქართველი კალათბურთელი (ლ.ფაცაცია, მ. ბერიშვილი, გ. გაფრინდაშვილი, ვ.ქადარია, ი. სორდია და ი. ჩლაიძე) ვარჯიშობს. კიდევ ერთი კალათბურთელი, ლაშა ფარლალავა ამჟამად ვილნიუსში იმყოფება, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და იგი სოხუმს ევრობასკეტის შემდეგ შეუერთდება.

სოხუმი თბილისში 23 სექტემბერს დაბრუნდება.

მ. ჟ.

# „მთაწმინდის პარკში“ მეგობრობის დღეა

ეკა ირემაშვილი



12 სექეტმბერი მთაწმინდის პარკში მეგობრობის დღეა. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, პარკში მისული ნებისმიერი ადამიანისთვის ატრაქციონებზე 30% ფასდაკლება ამოქმედდება.

პარკის სტუმრებს მთელი დღის მანძილზე, ზღაპრების გმირები, მიმები და ჯამბაზები გაართობენ. პარკის ნებისმიერ ვიზიტორს — სიმბოლური სამაჯური, მეგობრული სურვილების დასაწერად კი ბარათები გადაეცემა. ღონისძიების ფარგლებში მთაწ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 12 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფული გექნებათ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს მიიღებთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოსვლებისაგან. **ღრიანკალი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფულიც გექნებათ. **მშვილდოსანი** — არ დაივიწყოთ მეგობრები, მათ თქვენი დახმარება სჭირდებათ. **თხის რქა** — გზა სასიამოვნო იყო, ახლა სახლის საქმეები მოაწესრიგეთ. **მერწყული** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თევზები** — საქმიდან ვერ გამოხვალთ, ჯერ საბუთები მოაწესრიგეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 1. გერმანელი კომპოზიტორი; 4. სამცხის მმართველთა წოდება; 7. თავის კანი თმებიანად; 9. ხის დიდი თაბახი; 11. ქალაქი კუბაში; 12. ძველი სემიტური ენა; 13. კატარღა; 17. ღვინის შესანახი ჭურჭელი; 18. შოტლანდიური ნაგაზი; 19. მთავარი პარტიების შემსრულებელი ქალი ოპერაში; 20. გეომეტრიული სხეული.

**შვეულად:** 1. სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 2. ლეშიჭამია ფრინველი; 3. მძიმე საგანი; 5. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 6. ჯადოქარი, მისანი; 8. თეთრკანიანისა და მეტისის შვილი; 10. პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი; 12. ცდის გარეშე; 14. ხესთან დაკავშირებულის აღმნიშვნელი წინსართი; 15. რისამე დასასრული; 16. დასვენების დღე.




## იუმორი



— საყვარლის თავიდან მოშორება თუ გინდათ, ცოლად მოიყვანეთ და შემდეგ გაეყარეთ.

* * *

საღამო, პლაჟი, ორი ფსიქოლოგი ისვენებს, ლუდს ნება-ნება წრუპავენ. უცბად ზღვიდან მამაკაცის ყვირილი გაისმა:

— მიშველეთ, მიშველეთ!

ერთი ფსიქოლოგი მეორეს ეუბნება:

— მგონი, იმ მამაკაცს პრობლემები აქვს.

მეორე პასუხობს:

— დიახ, მაგრამ რაც მთავარია, უკვე აცნობიერებს ამას...

* * *

— რატომაა, რომ ქალები ძალიან ბევრ დროს უთმობენ გარეგნობას და ნაკლებს ინტელექტს?

— იმიტომ, რომ უსინათლო მამაკაცების რიცხვი სულელებზე გაცილებით ნაკლებია...

* * *

— თქვენი სარეცხი მანქანა გასარემონტებლად უნდა წავიღო.

— მერე, მე რაღა ვქნა?

— თქვენ რემონტს არ ექვემდებარებით...

* * *

ქალი ფსიქოლოგთან მივიდა, გასაცოდავებული, ნაცემი, დალურჯებული.

— ღმერთო ჩემო, რა დაგემართათ?

— ჩემი ქმარი შინ მთვრალი რომ ბრუნდება, სულ მცემს ხოლმე.

— გასაგებია, გვირილას ყვავილის ნაყენი დაამზადეთ და ქმარი შინ მთვრალი რომ დაბრუნდება, მაშინვე მისი პირში გამოვლება დაიწყეთ.

ერთი კვირის შემდეგ ექიმთან იგივე ქალი მივიდა, მშვენივრად გამოიყურება, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ადამიანის ენერგიას ასხივებს.

— ექიმო, როგორი მადლობელი ვარ თქვენით, რა მარტივი და სასწაულმოქმედი რეცეპტია. მაინც, რაშია მისი საიდუმლო?

— იცით, ასეთ შემთხვევებში ხშირად დუმილი სჯობს ხოლმე...

გ.თ.

## ტესტი

# რას ფიქრობთ საკუთარი თავის შესახებ?



1. ჩემი გარეგნობა მაკმაყოფილებს;
2. მიმაჩნია, რომ ნორმალური წონა და ფიგურა მაქვს;
3. მიღებებსა და პრეზენტაციებზე, იქ, სადაც ხალხმრავლობაა, თავს ყოველთვის თავისუფლად ვგრძნობ;
4. საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვარ, რადგან ვიცი, რომ ბევრი რამ შემიძლია;
5. კრიტიკას მშვიდად ვხვდები;
6. ნებისმიერ მომენტში შემიძლია მეგობრებს დახმარება ვთხოვო;
7. ვიცი ჩემი ნაკლოვანებები და შემიძლია მათი დაფარვა;
8. მეგობრებს ვირჩევ იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ვუყვარვარ და მაფასებენ;
9. ცუდ ხასიათზე თუ ვარ, მიმაჩნია, რომ რაიმე ზომების მიღება საჭირო არ არის, თავად გაივლის.

**ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ:**
**დიახ (1 , ხანდახან (2 , არა (3 .**

## პასუხები

**9-15 ქულა:** აბსოლუტურად დარწმუნებული ხართ საკუთარ თავში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დეპრესია თქვენთვის უცხო ხილია; უბრალოდ, ადვილად ახერხებთ თქვენ წინაშე მდგარი დაბრკოლებების გადალახვას.

**16-21 ქულა:** საკმაოდ ხშირად შეგაქვთ ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში. წარუმატებლობის დროს სულით ეცემით, დამოუკიდებლად ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებთ. გესაჭიროებათ ემოციური მხარდაჭერა.

**22-27 ქულა:** ძალიან ცუდი აზრისა ხართ საკუთარი თავის შესახებ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ღირსება და ტალანტი არ გაგაჩნიათ. ალბათ ბავშვობაში მოკლებული იყავით ყურადღებას, ამიტომაც ფიქრობთ, რომ პატივისცემა და ბედნიერება თქვენთვის არ მოუგონიათ.

გ.თ.